რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 3 ნოემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერისათვის ფული და წერილები შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 187 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 187

დამფუძნებელი კრების სადეპ. კანდიდატები
ამიერ კავკასიის საარჩევნო ოლქიდან
რუსეთის ს.-დემოკრატიულ მუშ. პარტიის (მენშევიკების)
სია №1

1) **ჟორდანია**, ნოე ნიკოლოზის ძე, პირველი სახელმწიფო დუმის წევრი, კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის თავმჯდომარე.
2) **წერეთელი**, ირაკლი გიორგის ძე, მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტ. საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
3) **ჩხეიძე**, ნიკოლოზ სიმონის ძე, მესამე და მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი, მუშათა და ჯ.-კ. დეპ. საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.
4) **გეგეჭკორი**, ევგენი პეტრეს ძე, მესამე სახელმწიფო დუმის წევრი, კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის თავმჯდომარე.
5) **ზურაბოვი**, არშაკ გერასიმეს ძე მეორე სახელმწიფო დუმის წევრი.
6) **რამიშვილი**, ნოე ბესარიონის ძე, კავკასიის გლეხთა დეპ. საბჭ. ცენტრის თავმჯდომარე.
7) **რამიშვილი**, ისიდორე ივანეს ძე, პირველ სახელმწიფო დუმის წევრი.
8) **ჩხენკელი**, აკაკი ივანეს ძე, მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი.
9) **სკობელევი**, მათე ივანეს ძე, მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი.
10) **ჯიბლაძე**, ვლადიმერ გიორგის ძე, მუშა, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
11) **გიორგაძე**, გრიგოლ ტიმოთეს ძე, ქუთაისის გუბერნიის კომისარი.
12) **სმირნოვი**, მიხეილ ნიკოლოზის ძე, კავკასიის ჯარის საბჭოს თავმჯდომარისა და თფილისის ქალაქის თავის ამხანაგი.
13) **ბაქზადიანი**, იოსებ არტემის ძე, კავკასიის ჯარის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
14) **ლომთათიძე**, ალექსანდრე სპირიდონის ძე, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის წევრი.
15) **ტერ-გაზარიანი**, გაზარ გრიგორის ძე, პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ლექტორი.
16) **მახარაძე**, გერასიმე თომას ძე, მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
17) **არსენიძე**, რაჟდენ მათეს ძე, გაზ. „ერთობის" რედაქტორი.
18) **ბირანშტეინი**, ერიკ ალფრედის ძე, მასწავლებელი, თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
19) **როდე**, არტურ სტანისლავის ძე, კავკასიის გზების იურისკონსულტი.
20) **თევზაია**, ბიქტორ ვასილის ძე, ჟურნალისტი.
21) **მალხაზოვი**, აბრამ იონის ძე, ბათუმის მუშ. და ჯარ. დეპუტ. საბჭოს თავმჯდომარე.
22) **მოისეენკო**, პეტრე ონისიმეს ძე, კავკასიის მუშ. დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
23) **გვარჯალაძე**, კონსტანტინე იაკობის ძე, ექიმი, თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
24) **აიოლდი**, გრიგოლ გუსტავის ძე, ჟურნალისტი.
25) **ანჯაფარიძე**, გიორგი ნესტორის ძე, ნაფიცი ვექილი, ბათუმის ქალაქის საბ. ხმოსანი.
26) **კორინევა**—ქორიღლანა, ინა ივანეს ასული, თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
27) **ბოგანდოკულდი**, ნიკოლოზ სავას ძე, კავკასიის გლეხთა დეპუტ. საბჭოთა ცენ. წევრი
28) **ზაბლოევი**, გიორგი ალექსის ძე, კავკასიის მუშათა დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
29) **ფარნიევი**, ალექსანდრე ივანეს ძე, კავკასიის გლეხთა დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
30) **ტოროშელიძე**, მინადორა ეფრემის ასული, ექიმი.
31) **ჩუმაქოვი**, ანტონ პავლეს ძე, მემანქანეთა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარე.
32) **პირუმოვი**, ბეჟან ჯავადის ძე, ინჟინერი, ამიერ კავკ. რკ. გზ. ცენტ. კომიტ. წევრი.
33) **ერაძე**, გიორგი პავლეს ძე, კავკასიის მუშათა დეპუტ. საბჭოთა ცენტ. თავჯ. ამხანაგი.
34) **მანევიჩი**, რუვიმ ხაიმის ძე, თფილისის რკინის გზის დეპოს ზეინკალი.
35) **ზურაბიანი**, ალისი დანიელის ასული, მასწავლებელი, თფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
36) **კოვალიოვი**, მიხეილ ანდრიას ძე, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.

მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში

პარასკევს, 3 ნოემბერს, საღ. 6 ს. შესდგება მეათე საპოლიციო ნაწილის

მოქალაქეთა კრება

რ. არსენიძე წაიკითხავს მოხსენებას ქართულად დამფუძნებელ კრებაზე.

მეურნეთა საყურადღებოთ

ბათუმის სამეურნეო საზოგადოების მონდობილობით ვაცხადებ, რომ ამა წლის 15 ოქტომბრიდან დაიწყო გაყიდვა სხვა და სხვა მცენარეების ნერგებისა ბათუმის სამეურნეო საზოგადოების სანერგედან. სანერგე არსებობს ბათუმის ახლო, სოფელ ახალშენში. კოოპერატივებს და სკოლებს, თუ ზაკაზი 1000 მანეთზე მეტია, ეძლევათ 10% სკიდკა. ნერგები იყიდება ძლიერ იაფ ფასებში. ნერგების ყიდვა შეუძლია სულყველას ფოსტით, ვისაც კი სურს. იყიდება შემდეგი საყურადღებო მცენარეების ნერგები: მანდარინები 1—2—3 წლიანი, ფორთოხლები, ლიმონები, დაფნა და სხვა. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: г. Батумъ, Общество Сельскаго Хозяйства, Шенелевская № 26.

2—1 სანერგის გამგე ი. ჩხაიძე.

კბილის საექიმო
და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა
დაარსებული
გ. ზაიკინა-შინკარევის
მიღ., თფილისი, მიხეილის პრ. ს. № 76.
ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ
დღისით და ღამით.
ღამით მორიგეობა ექიმისა.

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-ხოდნევისამ
განახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა, ოლღის ქ. № 22.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდის, გუნიის ქ. № 41.

ექიმი
ბ. დონხინი
უფროსი ასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს.
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.
მიხეილის პრ., 76, (ზაიკინის კბილის საექიმო).

საჭიროა
გაზეთის დამტარებელი.
მსურველს შეუძლია მიმართოს რ. ს.-დ. მ. პ. თფ. ორგ. მეორე რაიონის მდივანს, კოლექტივის ბიუროში ყოველ დროს. სახ. სახლი.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის [illegible] ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით. ყოველ დღეს — 5 ნახ. საათამდე, [illegible] პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

ბოლშევიკების გამოსვლა და დროებითი სამოქალაქო ზავი

პეტროგრადიდან მიღებულ საყურადღებო ცნობებს იუწყებიან, რევოლუციონური პარტიები და ორგანიზაციები შეთანხმებას ცდილობენ. ინიციატივა რკინის გზების მოსამსახურეთა კავშირის ეკუთვნის. ის დაჟინებით მოითხოვს შეთანხმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე მებრძოლ მხარეს გაფიცვით ემუქრება.

ამას უკარნახებს რკინის გზის მოსამსახურეებს პროლეტარული ინსტინქტი, ამას მოითხოვს რევოლუციის ინტერესი.

საბოლოოთ გამოირკვა, რომ დონის კაზაკთა ატამანი კალედინი ნეიტრალიტეტს იცავს. მას ზედმეტათ მიაჩნია ახლავე იარაღი აისხას და რომელიმე მხარეს მიემხროს. მიზანი ყველასათვის ცხადია. სამოქალაქო ომი რევოლუციონურ დემოკრატიას ასუსტებს და რევოლუციის დამარცხებას ამზადებს. როცა რევოლუციონერები ერთი მეორეს ებრძვიან, პოლიტიკურ ასპარეზზე კალედინები გამოჩნდებიან და რევოლუციას ლახვარს ჩასცემენ. ამის თავიდან ასაცილებლად ყოველი ძალღონით უნდა ვეცადოთ სამოქალაქო ომის შეწყვეტას და მებრძოლთა შეთანხმებას. მთელი ჩვენი თანაგრძნობა რკინის გზების მოსამსახურეთა კავშირის მხარეზეა.

რანაირი უნდა იყოს საფუძველი შეთანხმებისა?

კერენსკის მთავრობა მოკვდა. მისი აღდგენა არავის ძალუძს. იბადება კითხვა: რანაირი უნდა იყოს ახალი მთავრობა? მოსკოვის ბურჟუაზია კოალიციონური მთავრობის შედგენას ლამობს, ამჟამათ კოალიცია სამოქალაქო ომის გაგრძელება და რევოლუციის დასამარება იქნება. ბურჟუაზია სახელმწიფო ძალა-უფლებას აჯანყებულებს გამოსტაცებს, გამოიყენებს და მით სამოქალაქო ომს კიდევ უფრო გააძლიერებს. კოალიცია კონტრ-რევოლუციის ინტერესია. რევოლუციონურ პარტიათა ვალია მთელი თავისი ძალღონით ეცადონ ბურჟუაზიის პლანების ჩაშლას და ამ გზით რევოლუციონური ფრონტის გაერთიანებას. ეს შეიძლება მხოლოდ დემოკრატიული მთავრობის შედგენით. კოალიცია ცხოვრებამ გადაჭრით უარყო. სამოქმედო ასპარეზი დემოკრატიულ მთავრობას უნდა დაეთმოს.

მაგრამ ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ახალ მთავრობაში?

ბოლშევიკები მოითხოვენ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების საბჭოთა ხელში გადასვლას. ეს ქალაქისა და სოფლის თვითმმართველობათა ჩამოშორებას ნიშნავს და რევოლუციის დასუსტებას მოასწავებს. ახალ მთავრობაში მონაწილეობა მთელმა რევოლუციონურმა დემოკრატიამ უნდა მიიღოს. მაგრამ ზოგიერთი რევოლუციონური პარტიები, მაგ. სოციალისტ-რევოლუციონერთა დიდი უმრავლესობა და მენშევიკების ერთი ნაწილი წინააღმდეგი არიან მთავრობაში ბოლშევიკების შესვლისა. ეს საბედისწერო შეცდომა იქნება. მომენტი მთელი დემოკრატიის გაერთიანებას მოითხოვს. ეს შეიძლება საყოველთაო ნდობით აღჭურვილი მთავრობის შედგენით. ბოლშევიკების მთავრობაში შესვლა სამოქალაქო ომის დამთავრების დასაბამი გახდება. აჯანყებულნი დარწმუნდებიან, რომ მათ ინტერესებს ახალი მთავრობა დაიცავს და დამფუძნებელი კრების მოწვევას შეუდგებიან. ეს იქნება მთელი დემოკრატიის ერთი პლატფორმის გარშემო გაერთიანება და კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზიის განცალკევება.

ახლა წარმოიდგინეთ წინააღმდეგი—განდევნეთ მთავრობიდან ბოლშევიკები. ეს სამოქალაქო ომის დაკანონება იქნება. ეს კალედინების ამოძრავებას ხელს შეუწყობს და რევოლუციის დასამარებას ნიადაგს მოუმზადებს. ამას კარგათ გრძნობენ გავლენიანი რევოლუციონური წრეები და სწორედ ამიტომაც შეთანხმებას ცდილობენ, ასეთ პირობებში პეტროგრადში შეწყდა ქუჩებში ბრძოლა და მებრძოლთა შორის დროებითი ზავი გამოცხადდა. დემოკრატიის ვალია ისარგებლოს ასეთი მდგომარეობით და რევოლუციონურ პარტიათა და ორგანიზაციათა შორის სრული მორიგება გამოიწვიოს. რევოლუციონურ ძალთა შეთანხმება კონტრ-რევოლუციის დასამარება იქნება, დრო არ იცდის, დაგვიანება რევოლუციისათვის საბედისწერო გახდება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მებრძოლი პარტიები კარგათ გაითვალისწინებენ შექმნილ მდგომარეობას და კრიზისს თავს დააღწევენ რევოლუციონური ფრონტის გაერთიანებით.

ჯარს ზავი უნდა

პეტროგრადის რევოლუციონურ ორგანოების გამოსვლას უმთავრესათ ჯარები უჭერენ მხარს მას ეხმაურება და აქტიურ დახმარებას უწევს არა მარტო პეტროგრადის საგარნიზონო ჯარი, არამედ ფრონტზე მყოფი არმია, ფლოტის მატროსები და ზურგს უკან მყოფი სხვა და სხვა კომანდები.

ეს არც რევოლუციაა, არც აჯანყება—იგი მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო შეთქმულობაა. ბოლშევიკები, რომლებიც ქვეყანას არწმუნებენ, თითქოს მათ გამოსვლას მხარს უჭერს და ზურგს უმაგრებს მთელი შეგნებული პროლეტარიატი მუშათა კლასის ავანგარდი—მტკნარი სიცრუე გამოდგა, თვით პეტროგრადის პროლეტარიატი მათ გამოსვლაში მონაწილეობას არ ღებულობს და გამოსვლებისადმი აპატიას იჩენენ, ტრამვაები მუშაობდნენ, პეტროგრადის ცხოვრებას ჩვეულებრივი სახე არ დაკარგვია—და სხვა.

რაც შეეხება სხვა ქალაქების მუშებს იქაც სრული ინდიფერენტიზმია გამეფებული და ბოლშევიკების გამოსვლას არ იზიარებენ. ყველგან, სადაც კი ასე თუ ისე პეტროგრადის მსგავსი გამოსვლები ხდება, ყველგან ჯარის ერთი ნაწილი ღებულობს მონაწილეობას და ესენი თამაშობენ პრეტორიანცების როლს, ვიმეორებთ აქ მარტო პროლეტარულ მოძრაობაზე ლაპარაკიც მეტია და ამას ვერ ვხედავთ რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში. მხოლოდ ჯარი უკმაყოფილოა არსებული მდგომარეობით, მხოლოდ ჯარს ყველაზე მეტათ გაუძნელდა მსოფლიო ომის საშინელების გადატანა. სამი წელიწადი მეტია, რაც მსოფლიო ომი სწარმოებს და ეს ომი ყველაზე მეტათ აუტანელი ჯარებისათვის შექნა და უკანასკნელები ყველაზე მეტათ დაინტერესებულები არიან, რომ მას რაც შეიძლება ადრე ბოლო მოეღოს.

აი სწორედ ასეთ საერთო უკმაყოფილებამ შექმნა ერთგვარი ატმოსფერა, რომელიც ბოლშევიკების ლოზუნგს—დაუყოვნებლივ ზავს ჯარში დიდი გასავალი აქვს და ბოლშევიკებსაც ემხრობიან. ჯარს ომი მოსწყინდა და მას ომის გაგრძელება აღარ უნდა. ახლა იგი იმ პოლიტიკურ მიმდინარეობას მიემხრო, რომელმაც დაუყოვნებლივი ზავის ჩამოგდება სახელმძღვანელო ლოზუნგათ გადააქცია, ახლა ეჭვი აღარ არის, რომ ჯარს ამის მერე ომის გაგრძელება აღარ შეუძლიან. ვისაც უნდა, რომ ბოლშევიკების გამოსვლას სამხედრო დიქტატურის ხასიათი არ მიეცეს და მთელი პოლიტიკის ბატონ-პატრონი ჯარი არ გახდეს, საჭიროა არსებულ სამოქალაქო ომს ბოლო მოეღოს, დაუყოვნებლივ შესდგეს ერთფეროვანი დემოკრატიული მთავ., რომელმაც თავისი მხრივ ზავის საკითხი პირველ რიგში უნდა დასვას. დროებითმა ერთფეროვანმა დემოკრატიულმა მთავრობამ უნდა საყოველთაო ზავის საკითხი და დაუყოვნებლივ დამფუძნებელი კრების მოწვევა წამოაყენოს, რომელსაც, იმედია, მთელი რუსეთის რევოლუციონური დემოკრატია მხარს დაუჭერს და მით ბოლშევიკების სამხედრო შეთქმულობას ბოლოს მოუღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარების ასეთ გამოსვლებს უფრო მოხერხებული სამხედრო პირი ჩაუდგება, მოხერხებული პირი ჯარების ასეთ უკმაყოფილებას თავის სასარგებლოთ გამოიყენებს და მით რევოლუციას დაასამარებს. მაშასადამე საჭიროა დროებითი ერთფეროვან დემოკრატიულ მთავრობის შედგენა. ამ მთავრობის მიერ მიწის დეკრეტების გამოცემა, ზავის საკითხის დაუყოვნებლივ წამოყენება და დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროს მოწვევა.

* * *

პრესა

ბოლშევიკებს ამ რევოლუციაში ყავთ ერთგული მაქებარი—ქართველი ფედერალისტები.

მათთვის ბოლშევიზმი უდრის სამართლიანობის განმახორციელებელია. განსაკუთრებით მოსწონდათ მათ ბოლშევიკების ტენდენცია რუსეთის ერთა დამოუკიდებლობისადმი.

ახლაც გაზ. „სახალხო საქმე" ასე ახასიათებს ბოლშევიკების გამოსვლას.

„ბოლშევიკები გამოვიდნენ ბრძოლად იმიტომ, რომ უნდათ, რევოლუციამ უწინარეს ხალხს მოუტანოს სარგებლობა და შექმნას ნამდვილი დემოკრატიული წესები. მათი დროშა არის დროშა პროლეტარიატის და ღარიბ გლეხობის, რომელზედაც აწერია რადიკალური პოლიტიკური და სოციალური ცვლილებანი. დაუყოვნებლივ შეწყვეტა უმოწყალო სისხლის ღვრისა და ზავი ყველა ერისთვის სამართლიანი... შეუძლებელია არსებითად უარყოფა ბოლშევიკების პროგრამისა. შეუძლებელია არ თანაუგრძნოთ იმათ, რომელთაც უდიდესი თავისუფლება და სამართლიანობა მოაქვთ. შეუძლებელია წარმოიდგინოთ რუსეთის სახელმწიფო ფედერაციული არსებობა, თუ არ განხორციელდა მათი პოლიტიკური გეგმა".

რა გეგმაა ეს პოლიტიკური გეგმა, ჩვენ კარგათ ვიცით. კარგათ ვიცით ისიც, რომ ბოლშევიკებს აინტერესებს არა პოლიტიკური გეგმა, არამედ სოციალური გადაქმნა, და აი ამ სოციალური გადაქმნისკენ ნაბიჯების გადადგმა მიგვაჩნია ჩვენ დღეს-დღეობით შეცთომათ. მათი დემოკრატიული პროგრამა—ზავი, მიწა და პური—დღეს საყოველთაო მოთხოვნილებათ არის გადაქცეული.

და დავა წარმოებს არა ამ ლოზუნგების გარშემო, არამედ იმ გზის, რომლითაც ამ ლოზუნგების განხორციელებას ცდილობენ. დაკმაყოფილება ყველა ამ მოთხოვნილებების სრულიადაც არ შეიცავს ბურჟუაზიული წყობილების დარღვევას, ბოლშევიკები კი ამ ლოზუნგების გარშემო [illegible] ამ წყობილების დასარღვევათ მოუწოდებენ ხალხს დღეს; მარა ფედერალისტებს ეს არ აინტერესებს. მათ აწუხებთ არა ბედი მუშების და სოფლის ღარიბების, არამედ თავის ნაციონალისტური ზრახვანი, რომელთა დაკმაყოფილებას რუსეთში ანარქიის გაბატონებისგან მოელიან.

* * *

პეტროგრადის ამბები

გუშინ თფილისში მოვიდა 25 ოქტომბრის პეტროგრადის გაზეთები, სადაც დაწვრილებითაა აწერილი პეტროგრადის ამბები.

24 ოქტომბერს ღამით მომხდარმა ამბებმა აშკარა ჰყვეს ბოლშევიკების მიერ დაარსებული სამხედრო სარევოლუციო კომიტეტის დიდი გავლენა როგორც ჯარებში, აგრეთვე მუშებში. 24 ოქტომბერს საღამოთი დროებითი მთავრობის მდგომარეობა არაა უიმედო. გამოირკვა, რომ დროებით რევოლუციონურ კომიტეტის მხარეზე ჯარების დიდი უმრავლესობა იყო, მთავრობის მხარეზე—ნაკლები ძალა. დროებით რევოლუციონური კომიტეტის მოქმედება მიზან შეწონილი [illegible] ჩანდა და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ეტყობოდა წარმატება. სამხედრო ოლქის შტაბმა სისრულეში ვერ მოიყვანა ხიდების გახსნის შესახებ თავისი დადგენილება. ნიკოლოზის ხიდი, რომელიც გახსნეს შტაბის განკარგულებით, წითელ გვარდიელებმა კვლავ შეაერთეს. ხოლო მეორეჯერ გაგზავნილ 32 ჯარისკაცს დამკვრელი ბატალიონის ამავე მიზნით, იქ უკვე დახვდა 300 კაცი შეიარაღებული მატროსები და წითელი გვარდიელები. ასე რომ, შტაბმა თავისი განზრახვა სისრულეში ვეღარ მოიყვანა. შუაღამის 2 საათზე დროებით რევოლუციონურმა კომიტეტმა დაიკავა ბალტიის სადგური, ვერც მისი დაბრუნება შეძლო შტაბმა. პეტერჰოფიდან პრაპორშჩიკთა მესამე სკოლის პრაპორშჩიკებმა მოსვლა პეტროგრადში ვეღარ შესძლეს, თუმცა გამოწვევისას აღუთქვეს დაუყოვნებლივ მოსვლა. მატროსებმა და წითელ გვარდიელებმა ღამით ბოლო მოუღეს შტაბის ცდას, რომ მას დაებრუნებინა სააგენტო და მთავარი ტელეგრაფი. სააგენტოს პატრონი გახდა სათადარიგო კექსგოლმის პოლკი. დილის 4 საათზე შტაბში მივიდა კერენსკი. შესდგა თათბირი. დაადგინეს: შეეკითხონ ყაზახებს, თუ რა აზრისანი არიან მომხდარ ამბების შესახებ. საჩქაროთ გაეგზავნა ბრძანება პირველს, მეოთხეს და მე-14 დონის ყაზახთა პოლკებს დაუყოვნებლივ გამოსულიყვნენ საშველად. ამას გარდა ყაზახებს გაუგზავნეს შემდეგი დეპეშა: მთავარ სარდლის ბრძანებით 1, 4 და 14 ყაზახთა პოლკები თავისუფლების და სამშობლოს ღირსების დასაცავად გამოვიდნენ რევოლუციონური დემოკრატიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, დროებითი მთავრობის და დაღუპვის კარზე მიმდგარი რუსეთის დასახსნელად. დეპეშას ხელი მოაწერეს გენ. ბაგრატუნიმ და ცენტ. კომიტეტის კომისარმა მალევსკიმ. ყაზახებმა, როცა მიიღეს ასეთი ბრძანება, ის სისრულეში არ მოიყვანეს. გამართეს მოლაპარაკება. ყაზახები ამბობენ: ჩვენ იმ შემთხვევაში გამოვალთ, უკეთუ ქვეითი ჯარიც გამოვა, მანამდე კი ჩვენ თავს ვიჭერთ. შემდეგ გამოირკვა, რომ ყაზახებს სხვა ნაწილებიც ეკითხებოდნენ: გამოვლენ თუ არა. იუნკრების სასწავლებლები დასთანხმდნენ გამოსვლაზე, მაგრამ [illegible] თვით სასწავლებლებში დარჩნენ. პავლოვის სასწავლებელმა კი განაცხადა—ვერ გამოვალთ, ვინაიდან გრენადერის

ქვრივი ოლინკა თეიმურაზის ასული, კონსტანტინე, გრიშა და სიმონ წერეთლები სწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძვირფასის ქმრის ხოლო მეორენი საყვარელის მამის

ვასილ სიმონის ძის წერეთლის

გარდაცვალებას. რომლის დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 4 ნოემბერს, დილის 9 საათზე ს. გორისის წმ. გიორგის ეკლესიაზე.

პოლკის გვეშინიანია. დილის 7 საათზე შტაბში ცნობა მიიღეს, რომ ვეკსგოლმის პოლკის რაზმმა ელექტრონის სადგური დაიკავა. ამის შემდეგ შტაბის ტელეფონის აპარატიც უმრავლესობაც დაყრუვდა. სადგურის დაკავება წინააღმდეგობის გაუწევლად მოხდა. დილის 9 საათამდე კერენსკი შტაბში დარჩა, შემდეგ ის საზამთრო სასახლეში წავიდა. დილით ცნობა მოვიდა, რომ ვარშავის სადგურზე მივიდენ სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლები და მოითხოვეს—დაგვნებდით, წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღს ვიხმართო. დილის 8 საათზე ვარშავის სადგური დროებით რევოლიუციონური კომიტეტის ხელში გადავიდა. დილითვე კრონშტადტიდან მატროსები მრავალი მოვიდენ გემებით, რომლებმაც ნაპირათ ნიკოლოზის ხიდზე გადმოვიდენ. მათთან ერთად მოვიდა კრეისერი „ავრორა“, გემი „ზარია სვობოდი“ და ორი ნაღმოსანი. ამასთან ერთად ცნობა მოვიდა, რომ ჯავშნიანი ავტომობილები პეტროგრადის საბჭოს მხარეზე გადავიდენო. დილის 11 საათზე კერენსკი და ოლქის სარდლის თანაშემწე კუზმინი ავტომობილით ერთ-ერთი ვაგზლისკენ გაემგზავრენ, რომ ფრონტიდან გამოწვეულ ჯარებს შეხვედროდენ. ჯარები კერენსკიმ გამოიწვია არეულობის ჩასაქრობათ. საღამომდე არ მიუღიათ ცნობა, თუ სად გაემგზავრა კერენსკი. დილით საზამთრო სასახლესთან მიხაილის საარტილერიო სასწავლებლის იუნკრებმა მივიდენ, მაგრამ შეღამებისას უკანვე გაბრუნდენ. საღამოს 6 საათზე სასახლის მოედანზე გაჩნდენ ჯავშნიანი ავტომობილები რევოლიუციონური კომიტეტისა, მათ დაიკავეს მოედნიდან გასავლელი ყველა გზები. კომიტეტის რაზმი იმ იუნკრებს დაუახლოვდა, რომლებიც საზამთრო სასახლეს იცავდენ და დაუწყეს მათ რწმუნება, რომ წინააღმდეგობა არ გაეწიათ—სულ ერთია, ვერას გახდებითო. 6 ნახ. საათზე შტაბში მივიდა ორი „სამოკატჩიკი“—პეტრე პავლეს ციხის რწმუნებულნი და ულტიმატური მოთხოვნა წარუდგინეს. მოითხოვენ: უკეთუ შტაბი 20 წუთში არ დაგვნებდება, პეტროპავლეს ციხიდან და აგრეთვე სამხედრო გემებიდან სროლას აგიტეხთო. ამ დროის შტაბში იმყოფებოდენ: კიშკინი, რუტენბერგი, პალჩინსკი, გენ. ბაგრატუნი, გენ. პარადელოვი, ტოლსტოი და სხ. შტაბში გაიმართა თათბირი, მაგრამ ვერავითარ დასკვნას ვერ დაადგენ და ყველანი წავიდენ საზამთრო სასახლეში, სადაც ამ დროს დროებით მთავრობის თათბირი იყო გამართული. 20 წუთის გასვლის შემდეგ შტაბიდან დელეგატი გაგზავნეს და ითხოვეს კიდევ 10 წუთი დრო. ამ ხნის განმავლობაშიაც საზამთრო სასახლიდან არავითარი ცნობა არ მოვიდა. ამიტომ მატროსებმა, წითელ გვარდიელებმა და ჯარისკაცებმა, რომელნიც პასუხს ელოდენ შტაბის ჭიშკართან 7 ს. 40 წუთზე შტაბი დაიკავეს. დროებით რევოლიუციონური კომიტეტის პატრულებმა დაიკავეს შტაბიდან გაგზავნილი იუნკრების პატრული, მათვე დაიკავეს საღამოს 6 საათზე სასახლის მოედანზე სამხედრო მინისტრის თანაშემწე თუმანოვი.

24 ოქტომბერს მარიინის სასახლეში შეიკრიბენ რესპუბლიკის დროებით საბჭოს წევრები ჩვეულებრივ კრების გასამართავათ; რადგან წევრთა ძლიერ ცოტა რიცხვი შეგროვდა, ამიტომ კრება დანიშნულ დროზე არ გაიხსნა. დღის 1 საათზე სასახლესთან მოვიდა გვარდიის ეკიპაჟის რამდენიმე მეზღვაური, ჯავშნიანი ავტომობილით და სასახლის ყველა შესავალ გასავლის კარები დაიჭირა. ამავე დროს სასახლის ახლო-მახლო დარაჯები დააყენეს. დარაჯები არც სასახლეში უშვებენ არავის და არც სასახლიდან გარეთ. სასახლეში შევიდა სამხედრო-რევოლიუციონერი კომიტეტის კომისარი და წინადადება მისცა საბჭოს თავმჯდომარე ავქსენტიევს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ სასახლე, თან განკარგულება მოახდინა, რომ კანცელიარიის ყველა მოსამსახურეებიც საჩქაროთ გასულიყვნენ სასახლიდან. თავმჯდომარემ საბჭოს უხუცესთა კრება მოახდინა და გააცნო საქმის მდგომარეობა. უხუცესთა საბჭომ დაადგინა კრება აღარ გახსნას. მაგრამ ზოგიერთმა წევრებმა პროტესტი განაცხადეს და მოითხოვეს საბჭოს მუშაობის შეწყვეტის საკითხი საზოგადო კრებაზე დაესვათ. კრება გაიხსნა და თავმჯდომარემ ამცნო მას უხუცესთა საბჭოს გადაწყვეტილება. საბჭოს წევრმა გოცმანმა კითხვის ასე გადაწყვეტის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა და მოითხოვა განეგრძო კრება საბჭოს სანამ მაზე ფიზიკურ ძალას არ იხმარებდენ. ცოტა კამათის შემდეგ გადაწყვიტეს კრების დახურვა. ჯერ კრება დახურული არ იყო, რომ საბჭოს ზოგიერთმა წევრებმა დასტოვეს სასახლე, მით უმეტეს, რომ სამხედ.-რევოლიუციონურ კომიტეტის კომისარი მოითხოვდა საჩქაროთ დაეტოვებინათ სასახლე, რადგან უკეთუ დააყოვნებდენ და ერთი საათის განმავლობაში არ დასცლიდენ სასახლეს, მერე რაც მოხდებოდა ის პასუხს არ აგებდა. სასახლიდან გამოსვლის დროს დარაჯები სინჯავდენ მათ ბილეთებს და მთავრობის წევრებს იჭერდენ. ამგვარათ დაატუსაღეს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ავინოვი და სამხედრო მინისტრის კანცელიარიის ყოფილი უფროსი სტიპუნი, რომლებიც დროებით რევოლიუციონურ კომიტეტის განკარგულებაში გაგზავნეს.

იმ დროს, როცა სასახლეში კამათობდენ მუშაობის შეწყვეტის შესახებ სასახლესთან მივიდა ყოფილი უმაღლესი მთავარსარდალი გენ. ალექსეევი და, როგორც საბჭოს წევრმა, მოინდომა სასახლეში შესვლა. დარაჯებმა უარი უთხრეს შესვლაზე, მაგრამ გენ. ალექსეევმა განაცხადა, რომ ის უნდა შეუშვან, როგორც ყოფილი უმაღლესი მთავარ-სარდალი. დარაჯებმა პორუჩიკ-კომისარს გამოუძახეს. გენ. ალექსეევმა მასაც მოსთხოვა შეეშვა სასახლეში. პორუჩიკმა განუცხადა, რომ სასახლეში შესვლა სასტიკათ აკრძალულია და ნებას ვერ მოგცემთო. გენ. ალექსეევი კიდევ თავისას მოითხოვდა. ბოლოს, როცა მას უთხრეს, რომ კრება შეწყდა და საბჭოს წევრნი წავიდ-წამოვიდენო, უკან გაბრუნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდა მეორე აფიცერი და, როცა მას შეატყობინეს გენ. ალექსეევი იყოო, მწუხარება გამოსთქვა, რომ ის არ დაიჭირეს. ნაშუადღევის 1 საათზე საბჭოს ყველა წევრებმა დასტოვეს მარიინის სასახლე.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში ტროცკიმ მოხსენება გააკეთა. მან სთქვა, რომ წარსულ ღამით მოხდა დროებითი მთავრობის ჩამოგდება უსისხლოთ. მთელი ძალა-უფლება დროებით რევოლიუციონური კომიტეტის ხელშია. დავიკავეთ ყველა დაწესებულებები და ეს მოხდა ისეთი წეს-რიგით, რომ ძილში მყოფ პეტროგრადის მცხოვრებთ არც კი გაუგია, რომ მოხდა უდიდესი გადატრიალება—ძალა-უფლების საბჭოების ხელში გადასვლა, ყველა მინისტრები მიიმწყვდენ და საზამთრო სასახლის აღება სულ რამდენიმე წუთის საქმეა და ეს უკანასკნელი სიმაგრე დროებითი მთავრობისა ჩვენს ხელში გადმოვა. ყველა ეს მოხდა პეტროგრადის ჯარების და პროლეტარიატის დახმარებით. ძალა უფლება საბჭოების ხელში გადავიდა. მუშების, ჯარისკაცების და ღარიბი გლეხ-კაცობის ინტერესების დამცველი ის იქნება. ეს ძალა იქნება ამაყი და შეუპოვარი. ეს იქნება დაბალი ხალხის რევოლიუციონური დიქტატურა მაღალ ხალხზე. ამ დაბალი ხალხის მოწოდებაა გაანთავისუფლოს მასსა ყოველგვარ შევიწროვება-ძალადობისაგან. აუცილებლათ საჭიროა შრომის შინაგანი დისციპლინა და წარმოებაზე კონტროლის დაწესება, აუცილებლათ საჭიროა იმის შეგნება, რომ მთელი სახალხო მეურნეობა ამ ჟამად მუშების და ჯარისკაცების საკუთრებაა და არც ერთს არამზადას და მუქთა-ხორას ადგილი აღარ ექნება. უნდა შემოღებულ იქნას საყოველთაო შრომის ბეგარა მუშათა მასსის კონტროლის ქვეშ. შემდეგ მან აცნობა დამსწრეთ, რომ მიღებულია ყოველივე ზომები გავაცნოთ პროვინციას საქმის ვითარება. დეპეშების მთელი რიგი უკვე გაგზავნილია მოქმედ ჯარში, რომ სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი დაუყოვნებლივ გამოაცხადებს ფრონტზე დროებით ზავს და მთელი მიწის ხალხში საკუთრებათ გადასვლას, ძალა-უფლების საბჭოთა ხელში გადასვლას, და [illegible] დამფუძნებელი კრების მოწვევას თავისუფალი აგიტაციის საშუალებით. შემდეგ მან აუწყა, რომ პოლიტიკური ტუსაღები ყველანი განთავისუფლებული არიან და ბევრი მათგანი კომისარებათ არიან სხვა და სხვა ნაწილებში.

ტროცკის შემდეგ ილაპარაკა ლენინმა. ლენინის ტრიბუნაზე გამოჩენას დაუსრულებელი ტაშის ცემით შეხვდენ. ლენინმა სთქვა, რომ ის პროლეტარული რევოლიუცია, რომლის შესახებაც უდიდეს ვსწერდით და ვამბობდით ბოლშევიკები, უკვე მოხდა. შეიქმნა მთავრობა მუშების, გლეხების და ჯარისკაცების და ეს ახალი ტიპის მთავრობა ქვეყნის მართვა-გამგეობას აიღებს ხელში და კანონებსაც გამოსცემს. მუშები და გლეხები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ იმის სწავლას, თუ როგორ მართონ ქვეყანა. უნდა ისინი მოექცენ მართვა-გამგეობის სათავეში, რასაც დღემდი ბურჟუაზია მეთაურობდა. იწყება ახალი ხანა არა მარტო რუსეთში, არამედ—მთელს დედამიწის ზურგზე, რომელიც დაბოლოს მიგვიყვანს სოციალიზმის გამარჯვებამდე. უამისოდ არ შეიძლება იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც ჩვენ წინ დაგვიყენა ცხოვრებამ და ომმა. ომის დაბოლოვება შეუძლებელია, უკეთუ არ მოხდა კაპიტალთან სრული კავშირის გაწყვეტა. ახალი მთავრობის შედგენა უდიდეს თანაგრძნობას გამოიწვევს ყველა ქვეყნის დაჩაგრულ დამონებულთა შორის. ეს აჯანყება ერთი ქვეყნიდან მეორეში გადავა. ამის მაგალითებს ჩვენ ვხედავთ იტალიაში და ინგლისშიაც. პეტროგრადში მომხდარი აჯანყება თანაგრძნობის გამოძახილს გამოიწვევს გერმანელთა ჯარისკაცებში. მეორე საკითხი, რომელიც რიგში დგას, ეს არის მიწის საკითხი. დროა განვაცხადოთ, რომ ბოლო უნდა მოეღოს კაპიტალისტებთან თამაშს. აუცილებლათ უნდა განვაცხადოთ, რომ მთელი მიწა გლეხობას გადაეცემა. ამაშია გლეხობის ხსნა. აუცილებლათ საჭიროა წარმოებაზე და ბანკებზე კონტროლის დაწესება. არ შეიძლება იმის დაფარვა, რომ ჩვენს წინ ძნელი საქმეები სდგას, მაგრამ ძლიერი ორგანიზაციის ძალა იმის თავმდებია, რომ ყოველივე დაბრკოლება ძლეულ იქნება. ჩვენი სახელმწიფო იქნება მუშათა და პროლეტართა სახელმწიფო, სადაც არა მარტო მუშები, არამედ—მდიდრებიც იძულებული იქნებიან იმუშაონ. დღის წესრიგში დგას პროლეტარული სახელმწიფოს შექმნა და ამ მუშაობას, ჩვენ გვრწამს, კეთილად დავაგვირგვინებთ, ვინაიდან მთელი გლეხობა მხარს ჩვენ გვიჭერს. ამ რწმენით ჩვენ შეგვიძლია შევსძახოთ: გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საჭიროა ფრონტზე დელეგატების გაგზავნა, რომლებიც ჯარისკაცებს საქმის ვითარებას გააცნობენ.

დიდის ოვაციებით შეხვდენ ზინოვიევს. მან განაცხადა, რომ საბჭოში მაშინ მიწევდა გამოსვლა, როცა ბოლშევიკები პატარა ჯგუფს შეადგენდენო. ამ ჟამათ ჩვენ აჯანყების ხანაში ვიმყოფებით და გვრწამს, რომ ის ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, დღევანდელი და გუშინდელი ამბები საუკეთესო ფურცლები იქნება მსოფლიო სოციალიზმის ისტორიაში. არ დავფარავ, რომ ჩვენ შორის ზოგიერთ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ უთანხმოებას პრინციპიალური ხასიათი არ ჰქონია, განსხვავება იყო მხოლოდ დროსა და ადგილში, თუ როდის დაგვეწყო აჯანყება. ახლა საქმე გამარჯვებამდე იქნება მიყვანილი. ეხლა დრო არ არის პროგრამებზე ლაპარაკისა. ჩვენი პროგრამა გამოქვეყნდა რევოლიუციის პირველსავე დღეს და დღემდე არავითარი ცვლილება მასში არ მომხდარა. სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ გლეხობა ჩვენს მხარეზე იქნება, ვინაიდან ახლა არ არის ისეთი ძალა, რომელიც ხელს შეგვიშლიდეს გლეხებამდე სწორი ცნობა მივიდეს ჩვენი მიზნების შესახებ. რუსეთში ამ ჟამათ იწყება სოციალისტური რევოლიუცია. დღეს მთელი მსოფლიო ხალხი ჩვენ შემოგვყურებს. დღეს ჩვენ გადავუხადოთ ვალი გერმანელ ამხანაგებს, რომელთაგან ასე ბევრი ვისწავლეთ მეცნიერული სოციალიზმის სფეროში. დღეს ჩვენ ლახვარი ჩავეცით გულში ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს და მათ შორის ვილჰელმ ჯალათსაც, რომელთაც რევოლიუციის პირველსავე დღეს განაცხადეს, რომ ყველა ძველი ხელ-შეკრულებანი ძალაში რჩებაო, რითაც დიდი დახმარება გაუწიეს ვილჰელმს. სიტყვების შემდეგ კამათი არ ყოფილა და მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

გუშინ, 2 ნოემბერს კავკასიის ფრონტის კომისარ დონსკოის შემდეგი დეპეშა მოუვიდა: 1 ნოემბერს გენერ. კრასნოვის ჯარებმა, რომლებიც გატჩინოში იდგენ, დროებით ზავი ჩამოაგდეს პეტროგრადის ჯარებთან, რომ ამით ბოლო მოეღონ ძმათა სისხლის ღვრას და სამოქალაქო ომს. როგორც გენ. კრასნოვი იუწყება, არ იციან სად იმყოფება მთავარი სარდალი თავისი რაზმით. ამიტომ ჯართა საველე მართველობის თანახმად დებულების ვიკისრე რა ჯარების უფროსობა, ვუბრძანე შეჩერებულ იქნას პეტროგრადისკენ ჯარების გზავნა. ამ ჟამად სხვა და სხვა პარტიებს შორის მოლაპარაკებაა დროებით მთავრობის შესადგენათ. კრიზისის გათავების მოლოდინში მოვუწოდებ ფრონტის ჯარებს ასრულონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, რათა მტერს საშუალება არ მივცეთ კიდევ უფრო წინ წამოწევისა.

მთავარი სარდლის დროებით თანამდებობის აღმსრულებელი **გენ. დუხონინი.**

ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებებს (ცირკულიარულად).

უკეთუ ბოლშევიკებმა მოინდომეს ფოსტა-ტელეგრაფის სადგურების ძალით ხელში ჩაგდება, ყველა მოსამსახურეები მზად იყვენ გამოაცხადონ ფოსტა ტელეგრაფის საყოველთაო გაფიცვა.

ფოსტა-ტელ. ც. კავკ. ცენ. კომ.

ახალი ამბები

არჩევნების გარშემო. ქალაქის საარჩევნო კომისიამ აღძრა შუამდგომლობა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წინაშე, რომ არჩევნების დროს მოეწყოთ მოძრავი ყუთები საავადმყოფოებში ჩამოსატარებლათ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ დროებითი მთავრობის დადგენილების გამო ვერ შეიწყნარა ასეთი შუამდგომლობა.

— ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დადგენილების თანახმად ბეჭედ დასმულ კონვერტებს დაურიგებენ ამრჩევლებს მხოლოდ საარჩევნო დარბაზში შესვლის დროს.

— დროებითი მთავრობის განკარგულებით ყველა ჯგუფს, თუ პარტიას, რომელმაც წარადგინა სადეპუტატო კანდიდატთა სია, ნება აქვს გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ყოველგვარ საარჩევნო კომისიებში.

— დრ. მთავრობის დადგენილების თანახმად, ხმების დათვლის დროს მხედველობაში არ მიიღებენ დარჩენილ ხმებს.

— ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დადგენილების თანახმად, საარჩევნო სიების გაერთიანების შესახებ განცხადება შეტანილ უნდა იქნეს 8 ნოემბერს, საღამოს 9 საათამდე.

— მთავარ-სარდლის დადგენილების თანახმად, ჯამაგირის შენახვით სამსახურიდან განთავისუფლებენ არჩევნების დასრულებამდე იმ სამხედრო პირებს, რომლებიც სადეპუტატო კანდიდატთა სიაში არიან შეტანილი.

◆ **ფართლეულობა.** 6 ნოემბრიდან დაიწყება ყველა ფართლეულობის მაღაზიებში დროებით სასურსათო ბარათებით ფართლეულობის ნაჭრობით გაყიდვა. თვითოეულ სულს მიეცემა განსაზღვრული ზომა სხვადასხვაგვარ ფართლეულობისა.

◆ **შრომის კომისარის დანიშვნა.** დასავლეთ ამიერ კავკასიის შრომის კომისარათ საბოლოოთ დაინიშნა შრომის მინისტრის მიერ ამხ. ილ. ფირცხალაიშვილი. მასვე მიეცა ნება მუშათა ორგანიზაციებთან შეთანხმებით დანიშნოს თავის თანაშემწეები თფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში და ბათუმის ოლქში.

◆ **ბოიკოტი.** ტყავეულობაზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის დადგენილების თანახმად ტყავეულობის სახელოსნო „უნიონ“-ის (მიხეილის პრ. № 118) მუშებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სახელოსნოს პატრონს, ვინაიდან მან არ დააკმაყოფილა მუშათა ეკონომიური მოთხოვნილებანი. კავშირის გამგეობა სთხოვს ყველა ამხანაგებს არავითარ პირობებში არ იმუშაონ სახელოსნო „უნიონ“-ში.

◆ **ჟურნალ-გაზეთების მოთხოვნა.** მე-9 კორპუსის აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსებული ქართველ მეომართა კულტურულ-განმანათლებელი სექცია. სექცია სთხოვს ყველა ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივ დაწესებულებებს მიაწოდონ მას ქართული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები შემდეგი მისამართით: მოქმედი ჯარი. მე-9 კორპუსის აღმასრულებელი კომიტეტი, ქართულ კულტურულ-განმანათლებელ სექციის თავმჯდომარეს.

◆ **ამხ. ევგენი გეგეჭკორმა** 1 ნოემბერს სატრანსპორტო განყოფილების შენობაში გააკეთა მოხსენება თანამედროვე მომენტზე. მან ის აზრი გამოსთქვა, რომ შეუძლებელია ამხ. ბოლშევიკების წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა, ვინაიდან ეს გამოიწვევდა კონტრ-რევოლიუციის გაძლიერებასო.

◆ **საარჩევნო ფონდი.** რ. ს. დ. მ. პ. საოლქო კომიტეტის კასაში შემოვიდა დამფუძნებელ კრების ფონდის გასაძლიერებლათ ამხ. სერგო ჯაფარიძისაგან 100 მან.; ოფ. ვარტიკოვის საზოგადოება „ეკონომიისაგან“ 20 მან.; ბათუმის კომიტეტისაგან რ. ს. დ. მ. პ.—10000 მან.

◆ **ქალის დაკარგვა.** 22 ოქტომბერს სახლიდან წავიდა ახალგაზრდა ქალი, მარგალიტა ახალკაციშვილის ასული და შემდეგ აღარ დაბრუნებულა. იგი მსახურობდა რკინის გზის კანტორაში, ტანზე აცვია ყავის ფერი ხავერდის პალტო, თავზე ახურავს ყავის ფერივე ქუდი, მაღალი ტანისაა და შავი თმიანი. თუ ვინმემ რამე გაიგოს მის შესახებ, სთხოვენ აცნობონ მის დედას, დარია ახალკაციშვილისას თფილისში ახალ-არსენალის ქ. № 10.

◆ **გაძარცვა.** 30 ოქტომბერს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ოზურგეთის მაზრის მცხოვრებ მოსიკო კილაძეს თავს დაესხა ორი შეიარაღებული პირი და მოკვლის მუქარით წაართვეს მას 200 მან და 800 მანეთათ ღირებული ბეჭედი.

◆ **ამიერ კავკასიის ხაზინებთა კომიტეტმა** თფილისის ბანკებს სთხოვა ნახევარი მილიონი მანეთი სესხი დამფუძნებელ კრების საარჩევნო საჭიროებისათვის, სანამ დროებითი მთავრობა აღმოუჩენდეს მას დახმარებას.

◆ **სკოლები და ბიბლიოთეკები ჯარისკაცთათვის.** სამხედრო სამინისტროს პოლიტიკურ სამმართველოსთან დაარსდა კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება, რომლის მიზანია მოაწყოს ფრონტზე ჯარისკაცთათვის სკოლები და ბიბლიოთეკები.

◆ **თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს** მუშათა სექციამ მოწოდებით მიმართა ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებს და სთხოვს მათ პერიოდულათ აცნობონ სექციას თავისუფალ ადგილების შესახებ. ამ ადგილებზე დასანიშნავათ სექცია დაუსახელებს მათ ამნისტიით განთავისუფლებულ პირებს.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 8 საათზე, რ. ს.-დ. მ. მე-2 რაიონის კოლექტივის ბინაზე (სახალხო სახლი) დანიშნულია მარქსისტ სტუდენტთა და მაღალ კლასების მოწაფეთა კრება. ამხ. ალ. ლომთათიძე გააკეთებს მოხსენებას დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ. ვსთხოვთ ყველა იმ ამხანაგებს, რომელთაც სურთ საარჩევნო მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ, აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

— დღეს საღამოს 6 საათზე დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდ“-ში დანიშნულია მე 10 სამილიციო ნაწილის მოქალაქეთა კრება. ამხ. მ. არსენიძე წაიკითხავს მოხსენებას ქართულ ენაზე დამფუძნებელ კრების შესახებ.

— დღეს, საღამოს 7 ს. მე-3 სამომრიგებლო სასამართლოს შენობაში (ტურგენევის ქ.) დანიშნულია მე-9 სამილიციო უბნის ს. დ. საარჩევნო კომიტეტის წევრთა კრება.

— დღეს, საღ. 7 ს., დანიშნულია კრება კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალ. წევრებისა.

— დღეს, საღამოს 7 ს., დანიშნულია მეორე რიგი [illegible] კავშირთა საბჭოს წევრებისა.

— დღეს, საღამოს 4 ს., ქართული კლუბის დარბაზში დანიშნულია ექიმთა საზოგადო კრება. ქართულ სამხედრო კავშირთან არსებული დროებითი სასანიტარო ბიურო სთხოვს ყველა ქართველ ექიმებს და ფერშლებს, რომელთაც სურთ სამსახური ქართულ ჯარში, დაესწრონ ამ კრებას.

პროვინციის ქრონიკა

თელავი. აქ ეხლა სულზე ნახევარ გირვანქა პურს ურიგებენ მცხოვრებთ, მეტ წილს ქერისას და 24 ოქტომბრიდან ფასიც მოუმატა პურს—გირვანქა 30 კ. ეყიდება.

— ოქტომბრის 24-ს საკრებულო დარბაზში წარმოადგინეს პირველათ ახალი პიესა უკანასკნელ დროის მოძრაობიდან: „რევოლიუცია და პოლიციელები“, 3 მოქმ. ეგ. მჭედლიშვილისა. მონაწილეობას იღებდენ თვით მჭედლიშვილი და ადგილობრივი სცენის მოყვარენი.

ამხანაგებო!

გახსოვდეთ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოახლოვებულია. გაშალეთ ფართო აგიტაცია ჩვენი პარტიის სასარგებლოთ და ეცადეთ გააძლიეროთ საარჩევნო ფონდისთვის ფულის მოგროვება.

ბორჯომის საქალაქო არჩევნები

5 ნოემბერს, ბორჯომში საქალაქო არჩევნები მოხდება. ბორჯომი ამ ჟამად ქალაქად გადაკეთდა და მის მცხოვრებთ პირველად ეძლევათ საშვალება საქალაქო საქმეების მართვა-გამგეობის საქმეში მონაწილეობა მიიღონ. დღემდის ბორჯომს მამასახლისები, ბოქაულები და დიდი მთავრის წარმომადგენლები განაგებდენ, საზოგადოებრივ საქმეებს ძველებურად-სოფლურად აწარმოებდენ, მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობა ეხლა შეიცვალა და ბორჯომის საზოგადო საქმეები საქალაქო თვითმართველობის დემოკრატიულ პრინციპზე უნდა აშენდეს.

დემოკრატია მედგრად უნდა გამოვიდეს საქალაქო არჩევნების ასპარეზზე და იქ გაიყვანონ ისეთი პირები, რომლებიც ფართო დემოკრატიის მოთხოვნების დაკმაყოფილებას შესძლებენ და ქალაქის მომავალი საოჯახო, კულტურულ და სოციალურ, ჰიგიენურ და პოლიტიკურ ცხოვრებას მის სასარგებლოდ მოაწყობენ.

დღეს ყოველი პროვინცია, ყოველი კუთხე რევოლიუციის გამაგრების საქმეში დიდ როლს თამაშობენ და ამიტომ საჭიროა, რომ ქ. ბორჯომის სათავეშიაც ის კლასი მოექცეს, რომელიც ყველაზე მეტათ დაინტერესებულია, როგორც რევოლიუციის გამაგრებით, ისე ხალხის ნივთიერ და კულტურულ ცხოვრებით. აქაც, როგორც სხვა ქალაქებში, საარჩევნო ასპარეზზე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები გამოვლენ. ამათ გარდა მოსალოდნელია ეგრედ წოდებულ „ქუჩკოვ-ჯომარჯიძის პარტიის“ გამოსვლა, რომელმაც ჯერ კიდევ ზაფხულის თვეებში თავი გაგვაცნო თავისი ქუჩური გამოსვლებით. თვითოეული ამათგანი საქალაქო არჩევნებში გამარჯვებას მოინდომებენ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქაც მოწინააღმდეგე გამოუჩნდება, და თავიანთ კანდიდატთა სიას წამოაყენებენ, მაგრამ ბრძოლაში გამოცდილ პოლიტიკურ პარტიას მეტოქობის არ ეშინიან; თფილისის და ქუთაისის გუბერნიის ყველა საქალაქო არჩევნებში, გამარჯვება სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ხვდა და ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ ბორჯომის ფართო დემოკრატია სხვა ქალაქების დემოკრატიას არ ჩამორჩება და სოციალ-დემოკრატიულ საარჩევნო სია № 1 მხარს დაუჭერს და მით მოწინააღმდეგეებს გააშავებს. ბორჯომის დემოკრატია ნებას არ მისცემს, რომ მოწინააღმდეგე სია გაათეთროს და საქალაქო არჩევნებში ისეთი პარტია გაბატონოს, რომელსაც დემოკრატიასთან არაფერი საერთო არ აქვს. როგორც ვიცით, ბორჯომში ამიერ კავკასიის საუკეთესო აგარაკია, მაგრამ მისი კულტურულ-ჰიგიენური პირობები ვერ არის დაყენებული სასურველ ნიადაგზე. აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ბორჯომში უმაღლ. პირვ. დაწყებითი სასწავლებლის და გიმნაზიის გახსნა, საკითხველოების და თეატრის მოწყობა და სხვ. ვინ იკისრებს ყველა ამას თუ არა დემოკრატიული თვითმართველობა? წარსულმა და აწმყომ ნათლად დაამტკიცა, რომ სოციალ-დემოკრატია შეუპოვრათ იცავს დემოკრატიის ყოველგვარ მოთხოვნილებას და ის არის დემოკრატიის ინტერესების ერთგული დამცველი. მაშ, ქ. ბორჯომის მოქალაქენო, მხარი დაუჭირეთ სოციალ დემოკრატების სიას № 1 და გაათეთრეთ მისი კანდიდატები.

ბორჯომის ორგანიზაცია რ. ს.-დ. მ. პარტია.

ქართველ თავად-აზნაურთა დეკლარაცია

გამოსავლელით საქართველოს თავად-აზნაურობამ შემდეგი დეკლარაცია შეიმუშავა თავის ქონების შესახებ:

1917 წ. ოქტომბრის 29 დღეს ქ. თფილისი. ქართლ-კახეთის თავად აზნაურობის საგუბერნიო სათავადო კრებამ გაითვალისწინა ის გზა თავისის მომავალ მოქმედებისა, რომლითაც მან უნდა იაროს, რათა გზა იგი შეუფარდოს საერთო პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც დამყარდა რუსეთში სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის შემდეგ.

ქართველი თავად-აზნაურობა ყოველთვის ილტვოდა და ემსახურებოდა მხოლოდ მთელ ქართველ ერის საერთო კულტურულ და ეკონომიურ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ახლა კი, პოლიტიკური წესწყობილების შეცვლის შემდეგ, სახელმწიფოში აწ დამყარებულ თავისუფლების წიაღში, თავად-აზნაურობას ეძლევა საშუალება გადალახოს წოდებრივი ზღუდენი და გაერთიანდეს მთელს ერთან, რომლის განუკვეთელ ნაწილს იგი შეადგენს.

ქართველ თავად-აზნაურობას სრულიად შეგნებული აქვს ის დიადი საქმენი და მოწოდება, რომელნიც წინ უდევს ქართველ ერს და შეურყეველის რწმენით გამსჭვალულა, რომ მხოლოდ ერის ყველა ელემენტის შეერთებას და დემოკრატიულ ცენტრებთან შემოკრებას შეუძლიან დაამყაროს საქართველოში ის პოლიტიკური წყობილება, რომელიც შეესაბამება მის ისტორიულ უფლებათ და უკვე მომწიფებულ რეალ ინტერესებს. ამ რწმენით აღჭურვებული თავად აზნაურობის კრება ადგენს:

1) ყველა უძრავ-მოძრავ ქონებას, რაც კი შეადგენს თფილის გუბერნიის თავად-აზნაურობის კუთვნილებას, როგორც წოდებრივ ორგანიზაციის თავად-აზნაურობა აღიარებს მთელი ქართველი ერის ქონებად, და გადასცემს საკუთრებად საქართველოს თვითმართველობის საჯარო უფლებრივ ორგანოს, როდესაც იგი დამყარდება.

2) მანამდე კი, ვიდრე ეს საქართველოს თვითმართველობის საჯარო-უფლებრივი ორგანო დამყარდებოდეს, პირველ მუხლში აღნიშნულ ქონების და უფლების მოსავლელად და გასაძღოლად უნდა დაარსდეს საბჭო და გამგებლობა, რომელნიც თფილისში იმყოფებიან.

3) საბჭო შესდგება: ა) საქართველოს ყველა ქალაქების საბჭოების წარმომადგენელთაგან; ბ) საქართველოს საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო საერობო კრების წარმომადგენელთაგან, როდესაც ეს კრებები დაწესდება; გ) ყველა ქართველ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენელთაგან; დ) იმ საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან, რომელთანაც დაკავშირებულია გადასაცემ ქონების ინტერესები და ე) საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიების, ან მათ ქართველ სექციების წარმომადგენელთაგან.

4) ეთხოვოს საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოს მოსაწვევ საბჭოს წარმომადგენელთა რიცხვის განსაზღვრა, მისი მოწვევის ვადის გადაწყვეტა და ამ მოწვევის შესაბამი წინასწარი განკარგულებითი მოქმედება და საქმის გაძღოლა.

5) მოსაწვევი საბჭო აირჩევს ქონების და საქმეების მოსავლელად და გასაძღოლად გამგებლობას, როგორც თავის აღმასრულებელ ორგანოს.

6) მოსაწვევი საბჭო შეიმუშავებს ქონების გამგებლობისა, მოვლისა და დაცვის რეგლამენტს და აგრეთვე შეადგენს ბიუჯეტს და შტატებს თავისთვის და მის ხელქვეით ორგანოსათვის.

7) ზემოხსენებულ დადგენილებათა საჩქაროდ განსახორციელებლად და ყოველნაირ დაბრკოლებათა ასაცილებლად, საგუბერნიო კრება ანდობს თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს აღძრას ხოლმე სათანადო შუამდგომლობანი, შეადგინოს და შეჰკრას ყოველნაირი აქტები და საერთოდ იმოქმედოს საგუბერნიო კრების სრულის უფლებებით ყველა დაწესებულებებში, როგორც მთავრობისა, აგრეთვე კერძოსი.

(„საქ.").

* * *

უცხოეთი

როგორც ინგლისური გაზეთები გადმოგვცემენ, მეურნეობა ვერც ინგლისშია სასურველ ნიადაგზე დაყენებული. პირველ საჭიროების საგნების სიძვირემ იქაც ფართოდ იჩინა თავი. ამის უმთავრესი მიზეზი არის ამ საგნებზე სპეკულიაცია. როგორც ყველგან, იქაც მეტად ძლიერათ სპეკულიანტებს და ყველაფერს საზღაპრო ფასები დაადეს. მაგ., ბამბა სპეკულიაციამ ძალზე შეამცირა ბაზარზე. რძის, ხორცის და სხვა საგნების სპეკულიაციამ ეს საგნებიც ძალზე გააძვირა. ერთათ ერთ საშუალებათ სპეკულიაციასთან საბრძოლველად ინგლისური გაზეთები სახელმწიფო კონტროლს თვლიან. ეგრეთ წოდებული „სამხედრო სოციალიზმი" ე. ი. სახელმწიფოს მიერ წარმოების კონტროლი რამდენადმე ცხოვრებაში გატარებულია ინგლისში, მაგრამ ის ეხება მხოლოდ მრეწველობის ზოგიერთ დარგს, მხოლოდ იმ მსხვილ წარმოებებს, რომლების ბატონ პატრონები თვით კანონმდებლები და ქვეყნის ბატონ პატრონები არიან. რაც შეეხება საზოგადო სახმარებელ საგნებს, მათზე არავითარი კონტროლი არ არსებობს და ვისაც უნდა თავისუფლად ვაჭრობს, ხოლო მათ წარმოებას და განაწილებას კონტროლს იგივე ძლიერი ტრესტები უწევენ. ამის შესახებ გაზეთი „დეილი ნიუს"-ი ამტკიცებს, რომ საჭიროა სახელმწიფოს საყოველთაო კონტროლი წარმოებებსა და განაწილებაზე, და ეს არის ერთად ერთი საშუალება, რომლითაც შეიძლება სპეკულიანტების ალაგმვა.

მეტად გამწვავებულია ინგლისში შრომის საკითხი. აი რა საშუალებით ფიქრობს ებრძოლოს ომის შემდეგ უმუშევრობას შრომის მინისტრი რობერტსი. მისი ანგარიშიდან სჩანს, რომ ჯერ-ჯერობით სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ 62 000 კაცისთვის უშოვიათ სამუშაო, მაგრამ ეს ცოტაა. დემობილიზაცია ასე უნდა მოხდეს: პირველად დაითხოვენ იმ მუშებს, რომელნიც წარმოების მნიშვნელოვან დარგში მუშაობენ. სამუშაოს მიცემის დროს მათში უპირატესობას მისცემენ იმათ, რომელიც ომის დაწყების პირველ დღიდან არიან გაყვანილნი სამხედრო სამსახურში. აგრეთვე ცოლშვილიანებს. განზრახვა აქვთ ჯარიდან ყველა დაბრუნებულს ერთი თვის დასვენება მისცენ სრული ჯამაგირის შენახვით. რაც შეეხება უმუშევრებს, მთავრობას განზრახვა აქვს დაეხმაროს მათ ფულით. მაგ., ორ ნახევარ მილიონ უმუშევარ კაცს და 1 მილიონ ქალს მისცემენ კვირაში ათ შილინგს (შილინგი 48 კ.), ამასთან, მთავრობას იმედი აქვს, რომ დანარჩენ უმუშევარს ერთ მილიონ კაცს და ერთ ნახევარ მილიონ ქალს პროფესიონალური კავშირები გაუწევენ დახმარებას. იმ მრეწველობის დემობილიზაცია, რომელიც ქვეყნის დაცვის საქმეს აკეთებს და მუშათა განაწილება ინგლისის მთავრობა ფიქრობს 400 შრომის ბირჟის და 1000 მისი განყოფილების შემწეობით მოახდინოს.

ასე ფიქრობს მინისტრი რობერტსი ბოლო მოუღოს უმუშევრობას და მოაწყოს უმუშევართა საქმე. მაგრამ ზემოთ მოყვანილი ციფრები აშკარათ მოწმობენ, თუ რა კატასტროფა მოელის ინგლისის პროლეტარიატს მომავალშიაც და ეხლაც.

გაფიცვებმა ინგლისში ფართო ხასიათი მიიღეს. ამის მიზეზი რასაკვირველია, ერთი მხრით საზღაპრო სიძვირეა, მაგრამ მეორე მხრით კი მუშათა აუტანელი ექსპლოატაცია. მუშათა ყოველ ყრილობებზე აშკარათ ამტკიცებენ, რომ მთავრობამ მუშათა ინტერესების დასაცავათ არავითარი ზომები არ მიიღო და რამდენიმე თვის წინათ ინგლისში მოხდა მუშათა დიდი არეულობა, რომელსაც შედეგათ მოჰყვა საზღვაო დასავლეთ სამრეწველო რაიონში ზოგიერთ მაღნების და რკინის გზების [illegible]. ბურჟუაზიული პრესა ბოლოს იმ აზრს დაადგა, რომ დადგა დრო ფართო რეფორმების შემოღების, რომ 8 საათის სამუშაო დროის შემოღება მეტათ შეუწყობს ხელს ინგლისის მრეწველობის განვითარებას.

* * *

განახლებული რუსეთის საგარეო პოლიტიკა

დღიდან რუსეთის განახლებისა, მისი საგარეო პოლიტიკა იმპერიალისტების ხელში იმყოფება. მართალია რევ. რუსეთმა ძველი რეჟიმის მიერ ნაანდერძევი ომის იმპერიალისტური მიზნები უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მოთხოვნით შესცვალა, მაგრამ ეს თითქოს ფორმალურათ მოხდა და ამ მხრით არავითარი თვალსაჩინო პრაქტიკული ნაბიჯი დრ. მთავრობას არ გადუდგამს. როგორც ვიცით, 14 მარტს პეტროგრადის მ. და ჯარისკაცთა საბჭოებმა სამშვიდობო მოწოდებით მიმართეს საერთაშორისო დემოკრატიას, სადაც მოითხოვდენ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე დამყარებულს, რაც დრ. მთავრობის მიერ ოფიციალურათ იქნა დადასტურებული 27 მარტს. ამის შემდეგ რა კეთდებოდა ზავის სასარგებლოთ გარეშე საქმეთა სამინისტროს კაბინეტში? სრულებით არაფერი და თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ის რაც კეთდებოდა, უფრო ხელს უწყობდა ომის გაჭიანურებას ვიდრე ზავის მოახლოებას. როდესაც ფრონტის დელეგატებმა იახლეს მილიუკოვი აპრილში და ჰკითხეს, იქნებოდა თუ არა მოკავშირეებთან დადებული ხელშეკრულებანი გამოქვეყნებული, მინისტრმა უარით უპასუხა; დარდანელის ანექსიის შეკითხვაზე, მილიუკოვმა მიუგო მხოლოდ, რომ ამ საკითხის წამოყენება ჯერ-ჯერობით ნაადრევია. ერთი სიტყვით, მილიუკოვი იმპერიალისტურ ფიქრებზე ხელს არ იღებდა, რაც კიდევ უფრო ცხადყო მისმა ცნობილმა 18 აპრილის ნოტამ. მილიუკოვის შემდეგ საგარეო პოლიტიკას სათავეში უპარტიო ტერეშჩენკო ჩაუდგა, რომელიც არა ნაკლები იმპერიალისტი აღმოჩნდა. როგორც ვიცით, რევ. დემოკრატიის ზეგავლენით უნდა მომხდარიყო მოკავშირეთა კონფერენცია, სადაც გადაშინჯულ უნდა ყოფილიყო ნიკოლოზთან დადებული ხელშეკრულებანი. ეს კონფერენცია ჯერ კიდევ აპრილში უნდა მომხდარიყო, მაგრამ გადადებულ იქნა აგვისტოსთვის. იმპერიალისტებს სრულებითაც არ აინტერესებდათ ხსენებულ კონფერენციის მოწვევის დაჩქარება და ამისთვის კვლავ შესძლეს მისი ოქტომბრამდე გადადება და დღეს კი ნოემბერშია დანიშნული; მაგრამ გვაქვს კი იმის გარანტია, რომ ნოემბერში კვლავ გადადებული არ იქნება განუსაზღვრელ დროისთვის? ამას გარდა, ტერეშჩენკო კვლავ განაგრძობს ყოფილ მეფის ჩინოვნიკების ელჩათ დანიშვნას, რომელთა კონტრ-რევოლუციონერობაში ეჭვი არავის ეპარება. ასე მაგ., სტოკჰოლმში გენერალ. კონსულის ადგილზე დაინიშნა ძველი რეჟიმის ჩინოვნიკი; იქვე რუსეთის მისიაში დაინიშნა ცნობილი რეაქციონერი შევალოვი. როგორც იტყობინებიან, ლონდონის ელჩათ დაუნიშნავთ თავ. ტრუბეცკოი; სერბიის ელჩათ კი — კამერგერი კაზაკოვი. საფრანგეთის ელჩათ ამ ბოლო დროს დაინიშნა ცნობილი იმპერიალისტი და „ომი ბოლომდის" მომხრე მაკლაკოვი, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ნეიტრალურ სახელმწიფოების პრესაში. მართლაც, ვინ უნდა დაიჯეროს განახლებულ რუსეთის სამართლიან ზავისადმი მისწრაფება, როდესაც ელჩათ ნიშნავენ მილიუკოვის ამხანაგს, რომელმაც, ერთ-ერთ კადეტთა „სიეზდზე", აშკარათ განაცხადა: „რევოლუციის ერთათ ერთი სიტყვა უნდა იყოს ომი ბოლომდისო". ერთი სიტყვით, საზღვარ გარეთ რუსეთის ინტერესებს იცავენ და ზავის ჩამოგდებისთვის ზრუნავენ (!) აშკარა კონტრ-რევოლუციონერები და იმპერიალისტები. აი ვის აბარია რუსეთის ბედი! აი ვინ ლაპარაკობს რევ. რუსეთის სახელით!.. მერე ეს დასაშვებია? განა მაკლაკოვს შეუძლია გასწიოს საფრანგეთში ზავის სასარგებლოთ აგიტაცია? განა შევალოვ-ტრუბეცკოი შეეცდება რუსეთის რევოლუციის პრესტიჟის დაცვას საზღვარ გარეთ? სრულიად მართალია ზარუდნი, რომელმაც დემოკრატიულ თათბირზე აშკარათ განაცხადა, რომ იმ თვე ნახევარს, რომლის განმავლობაშიდაც მე ვიმყოფებოდი მინისტრათ, დრ. მთავრობაში ზავის სასარგებლოთ სრულებით არაფერი არ გაკეთებულაო. მაგრამ რას გააკეთებს მეტს ტერეშჩენკო, რომელსაც ის ამ ხანათ „ზავზე სრულებით არ ფიქრობს"! ყოველივე ამაებს რევ. დემოკრატია ვერას შემთხვევაში ვერ შეურიგდება. ის მოითხოვს, რათა საიდუმლო დიპლომატიას ფარდა აეხადოს და ხალხის წარმომადგენელთა დაუკითხავათ უმცირესი ნაბიჯიც კი არ იქნეს გადადგმული საგარეო პოლიტიკაში. და როდესაც ეს ასრულდება, მაშინ მილიუკოვ-მაკლაკოვ გუჩკოვებს აღარ შეეძლებათ სახელმწიფო აგენტურულ ქსელში გაბმა და იმპერიალისტურ თამაშობათა განსახორციელებლათ მას ომი მოახვიონ თავზე. ამასთანავე რევ. რუსეთის საგარეო პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს განსაკუთრებით ზავის დაჩქარებით ჩამოგდებისაკენ, ვინაიდან ამას მოითხოვს რევოლუციის ინტერესები. მომავალ პარიზის კონფერენციაზე ზავის პირობები კონკრეტულ ფორმულებში უნდა ჩამოყალიბდეს და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავმა, ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე დამყარებულმა, კიდევ უფრო გარკვეული და ნათელი სახე უნდა მიიღოს. ომის და ზავის კითხვებში დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისი საელჩოებით, რაც დღემდე რეაქციონერთა და იმპერიალისტთა ხელში იმყოფება. ზავის სასარგებლოთ აქტიურ საგარეო პოლიტიკის წარმოებისთვის პირდაპირ აუცილებელია, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს ამ უკანასკნელის სრული დემოკრატიზაცია, რაც რევ. დემოკრატიის დაჟინებითი მოთხოვნაა. დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს გარეშე საქმეთა სამინისტროს და საელჩოების შემადგენლობა, სადაც კონტრ-რევოლუციონერთა და იმპერიალისტთა ადგილი რევ. დემოკრატიის მესვეურებმა ან მათმა აშკარა მომხრეებმა უნდა დაიკავონ. ეს იქნება ზავის მოახლოების უმთავრესი აქტი და განახლებულ რუსეთის იმპერიალიზმისაგან თავის სავსებით დახწევა.

ალ. წითელი.

* * *

სოც.-დემ. პარტიაში

თელავი. თელავის მაზრის ს. დ. ორგანიზაციათა პირველი ყრილობა 29 ოქტომბერს გაიხსნა. ჯერ კიდევ წინა დამით, ე. ი. 28-ს, საღამოს შეიკრიბნენ დელეგატები, რომელნიც თითქმის ყველა სოფლიდან ჩამოსულიყვნენ და თათბირი გამართეს. თელავის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. მჭვარიანმა გახსნა თათბირი და სთხოვა დელეგატებს მოეხსენებინათ სოფლის მდგომარეობა.

მთელი 3 საათი გასტანა საუბარმა. თითქმის ყველა სოფლის სურათი გადაიშალა კრების წინ. საერთო მდგომარეობა ასეთია: სოფელი დამშეულია. პური მოეპოვება ხოლოდ თითო-ოროლა მდიდრებს, რომელნიც მას მამასისხლათ ჰყიდიან. რეკვიზიციის მოხდენა მათ არ აშინებთ. პურს მალავენ და ფარულად გლეხებზე 100 მანეთათ კოდს (ე. ი. 3 ფუთს) ასაღებენ. ფულის ფასი ყოველდღე დაეცა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგან ნატურალური გაცვლა გამოცვლა შემოიღეს. საქონელს ცვლიან საქონელზე, მაგ., ჩითს პურზე, ძაფს ქსოვილზე, ან ღვინოზე და სხვ. ფული სოფლათ ბევრია, მაგრამ უსარგებლოა.

კახეთი ერთი შეხედვით მდიდარი ქვეყანაა. მარა გლეხთა უმრავლესობას ხარ-კამეჩი არ გააჩნია. ასეთ უხარო ოჯახთა რიცხვი სოფლათ სამ მეოთხედს უდრის მცხოვრებლებისას. ამ უკანასკნელთა ერთათ ერთი სარჩო ზვარია და ღვინო. აი ამიტომ ხალხი სიხარულით შეხვდა თავისუფლებას. ამით აიხსნება ერთი გარემოებაც. საიჯარო მიწა აქვს აღებული ხარიან ოჯახებს. ესენი შედარებით შეძლებულნი არიან. მათ იმდენი გამბედაობა არ მოეპოვებათ, რომ მემამულეს გაუმკლავდენ და ზოგან წელსაც ჩვეულებრივი ლალა გადაუხდიათ მეოთხედით, ზოგან კი შეუმცირებიათ მეექვსედამდე.

ასეთ მდგომარეობაშია სოფელი!

არა უკეთეს მდგომარეობაში არიან საუფლისწულო მამულების მუშები. სულ 800 კაცია, 8 საათს მუშაობენ, მარა უპურობა მათაც საქმეს უჭირებს.

ასეთია კრიტიკული მდგომარეობა საერთოთ სოფლების.

თვით თელავის ორგანიზაციამ დიდი ენერგია გამოიჩინა სტუმრების შეხვედრაში: ბინა მოუწყო და სხვ. თელავის ს.-დ. ორგანიზაციას 1000 მდე წევრი ჰყავს. ქალაქის თვითმართველობაში უმრავლესობა ხმოსნებისა საერთოთ კარგი სახელით სარგებლობს. აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციაში ფხიზლათ მუშაობენ და ენერგიულ მონაწილეობას იღებენ ქალები, სეკრეტარიდან დაწყებული, კომიტეტის და კომისიების წევრებით დათავებული. 29-ს, დილით ათ საათზე, გაიხსნა ყრილობა შემნახველ გამსესხებელ ბანკის დარბაზში. კრებას დაესწრო 144 მდე დელეგატი. ამათში 94 გლეხი, 8 საუფლისწულო მამულის მუშები, 42 თელავიდან, გლეხები იყვნენ 33 სოფლიდან. ს.-დ.-ის გავლენა ყველგან ძლიერია. გლეხკაცობა დიდი იმედით ელის დამფუძნებელ კრების მოწვევას. უმიწობით შევიწროებული, მისგან მიწის საკითხის გადაჭრას ელის. დღეს კი მიწას, ტყეს უმთავრესათ გლეხთა კომიტეტები უვლიან, რომ ტყე არ გაიჩეხოს. ხალხი ამ მხრით დიდ გონიერებას იჩენს. ხალხს მხოლოდ ყაჩაღები აწუხებენ და იგი ამის წინააღმდეგ იარაღს და სხვა ზომების მიღებას მოითხოვს.

ყრილობა გახსნა საოლქო კომიტეტის წარმომადგენელმა არსენიძემ და მისალმების სიტყვა უძღვნა თელავის პირველ ყრილობას, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს ს.-დ. მუშაობის გაძლიერება-გაღრმავებას მაზრაში.

პრეზიდიუმში აირჩიეს: თავმჯდომარეთ ქ. ანდრონიკაშვილი, ს. მჭვარიანი, გ. ლაზარიაშვილი, ალექსი ბუჩუკაშვილი, მიხ. ძე; სამდივნო წევრებათ რ. ჩიხლაძე და არსენიძე.

შემდეგ შეუდგნენ დღიური წესრიგის განხილვას. კამათის შინაარსს აქ არ მოვიყვანთ, აღვნიშნავთ მხოლოდ მიღებულ რეზოლუციებს, აი ისინი:

პეტროგრადის ამბების შესახებ: თელავის მაზრის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციათა სიეზდმა 29 ოქტომბერს მოისმინა რა მოხსენება პეტროგრადში ბოლშევიკების გამოსვლის შესახებ დაადგინა:

1) ყრილობა სასტიკათ გმობს ბოლშევიკების განკერძოებულ გამოსვლას სწორეთ დამფუძნებელ კრების არჩევნების წინა დღეებში, რასაც დიდი ანარქია შეაქვს მოძრაობაში და შეუძლია თავისდა უნებურათ რეაქციის გაძლიერებას შეუწყოს ხელი.

2) რადგან ძმათა შორის ბრძოლას და მოსალოდნელ სისხლის ღვრას შეუძლია გამოიწვიოს ბურჟუაზიულ რეაქციონერ ძალების გამარჯვება, ამიტომ ყრილობა მოუწოდებს აჯანყებულ ბოლშევიკებს მთელი დემოკრატიის საერთო ნებასურვილს დაემორჩილონ.

მეორე მხრით სიეზდი წინააღმდეგია ბოლშევიკების გამოსვლის იარაღით ჩაქრობის და მოითხოვს ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლათ.

3) ყრილობას სწამს, რომ ანარქიისგან დახსნა ქვეყნის და მოწვევა დამფუძნებელ კრებისა დანიშნულ ვადაზე შეუძლია მხოლოდ ისეთ დროებით მთავრობას, რომელშიაც შევლენ ყველა დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლნი და რომელშიაც ადგილი არ ექნება ცენზიან ბურჟუაზიას.

4) ყრილობა სავსებით უერთდება ამიერკავკასიის საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დამცველ კომიტეტს და მოუწოდებს მცხოვრებთ ამ განკითხვის დღეებში განსაკუთრებით მიაქციონ ყურადღება წესრიგის დაცვას და ყოველ გვარ ბნელ ძალების გამოსვლას საფუძველი გამოაცალონ.

დამფუძნებელი კრების შესახებ. 1) ყრილობა ენერგიულ წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს და ს. დ. პარტიის წევრებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დამფუძნებელ კრების მომავალ არჩევნებში და ხელი შეუწყონ იმას, რომ ყველა მცხოვრები ქალი და კაცი გამოცხადდეს საარჩევნო ყუთთან.

2) გაცხოველდეს აგიტაცია და კრებები სოფლად, ხალხისთვის არჩევნების მნიშვნელობის ასახსნელათ, რისთვისაც ეთხოვოს საოლქო კომიტეტს გამოგზავნოს პროპაგანდისტები.

ანარქიასთან ბრძოლა. სოფლათ გავრცელდა ქურდობა და ავაზაკობა მას შემდეგ, რაიცა ხალხის უყურადღებობის გამო აღმასრულებელ კომიტეტებმა თავის მოვალეობის პირნათლათ შესრულებას ხელი შეუშვეს და კომისარ-მილიციონერები ზოგან ვერ არჩევენ მათთან ბრძოლას. ზოგან უნარი ვერ გამოიჩინეს ანარქიასთან ბრძოლაში, ამიტომ ყრილობა ადგენს, რომ ს. დ. ორგანიზაციებმა შესაფერი ყურადღება მიაქციონ სოფლის ყველა კომიტეტებს, კომისარებს და სხ. და ვინც მათგანი გამოუსადეგარია გამოსცვალონ და ახლები აირჩიონ. თვის მხრივ თვით ხალხს ჩააგონონ, რომ საჭიროა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა კომისარების და კომიტეტებისთვის ანარქიასთან ბრძოლაში. კომისრები უნდა ასრულებდენ აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებას, უნდა ეცადონ, რომ თვით გლეხებმა და სოფლებმა [illegible] მისცენ [illegible] და ქურდობაც [illegible] არ შეინახონ, პირიქით [illegible] სადაც ჯერ არის და [illegible] ქურდებთან [illegible].

შემდეგ კრებამ მიიღო დადგენილება პარტიულ ორგანიზაციების გაძლიერების შესახებ და დაიშალა. საერთოდ კრება მეტად ცოცხლად ჩატარდა. დელეგატები დიდის ინტერესით ეკიდებიან ყოველ საკითხს. მხურვალე მონაწილეობას იღებდენ კამათში. თავის გულის ზრახვების გამოთქმით ხელს უწყობდენ საკითხის სისწორით გაშუქებას და გადაჭრას.

ყრილობა საღამოს 4 საათზე დაიხურა.

დამსწრე.

* * *

რკინის გზაზე

31 ოქტომბერს თფილისის რკინის გზის სადგურზე უბედურება კინაღამ დატრიალდა. ბაქოში მიმავალ მეოთხე ნომერ მატარებელზე, ოთხი შეიარაღებული ჯარის კაცი საფოსტო ვაგონის სახურავზე ჩამწკრივებულიყვნენ. ამან ხალხში მღელვარება გამოიწვია. როდესაც მოვიდენ სადგურის აღმასრულებელი კომისიის წევრები და მათ სთხოვეს ვაგონის სახურავი ჩამოეცალათ, ჯარისკაცებმა თხოვნა აასრულეს. ამათ წინ შეიპყრეს სხვა ჯარისკაცები. ამის დანახვაზე შეიარაღებულმა ჯ. კ. მიმართეს თოფები თავის დასაცავად.

ჯარისკაცებმა არ დაუთმეს: „თუ ჩვენ ესენი არ გავასამართლეთ, სულ ერთია — ჩვენც დაგვხოცავენო". რა თქმა უნდა, გასამართლებაც დაიწყეს. მათზე არ გასჭრა, არც ხვეწნა-მუდარამ და არც თხოვნამ. საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო; რადგანაც ეს შეატყვეს აღმასრულებელი კომისიის წევრებმა, მაშინვე ტელეფონით აცნობეს მილ. უფროსს და აგრეთვე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს და სთხოვეს დახმარება. საჩქაროდ მოეშველნენ. ძლივს გამოგლიჯეს გამხეცებულ ჯარისკაცებს ხელიდან მსხვერპლი. ერთი ჯარისკაცი, რომელიც დაკითხვის შემდეგ საეჭვო პიროვნება აღმოჩნდა, სადგურის კომისარმა გაანთავისუფლა და თოფიც ჩააბარა.

დრო არის, ამხანაგებო ჯარისკაცებო, რომ ასეთ სამარცხვინო მოქმედებას ბოლო მოუღოთ. ამის მაგიერ, რომ შეერთებული ძალით გარეშე მტერი მოვიგერიოთ, ჩვენ აქ ერთი მეორეს ვხოცავთ, ვგლეჯთ, მერე რაგო!.. ვძარცვავთ და რა ვიცი, რამდენ უწესოებას [illegible], ისედაც ბევრი [illegible]. შევიგნოთ და შევისწავლოთ, რომ ძალა ერთობაშია და არა თვითგასამართლებაში.

ქრისტინეს შვილი.

* * *

ქვა-ნახშირის სამეფოში

(წერილი დონის ოლქიდან).

(დასასრული).

რევოლუციის პირველი მერცხალი დონის ოლქში მხოლოდ 4 მარტს მოფრინდა, ხოლო შრომის რაოდენობის სწრაფი დაქვეითება ოთხი თვის წინ დაიწყო.

რა იყო ამის მიზეზი?

პირველად ყოვლისა ის, რომ მაღაროს პირობებს მიჩვეული მუშები „ბრძოლის ველზე" იქნა გაწვეული და მათი ადგილი დაიჭირეს ერთი მხრით სოფლებიდან ახლად ჩამოსულმა პირებმა და მეორე მხრით — დედაკაცებმა, ლტოლვილთა ახალ-ახალ ჯგუფებმა და სამხედრო ტყვეებმა. მარიამობისთვეში, 1916 წ., მაღაროების მუშათა რიცხვი 243 262 კაცს უდრიდა. აქედან 84552 კაცი შედგებოდა ქალებიდან ლტოლვილებიდან და სამხედრო ტყვეებიდან ე. ი. 34,4%. სექტემბერში მუშათა რიცხვი 10% გაიზარდა, რადგან ხმები გავრცელდა, რომ მთავრობა ახალ მობილიზაციისათვის ემზადება. სოფლებიდან მაღაროებს ახალ-ახალი მუშათა ჯგუფები მოაწყდენ, რადგან იცოდენ, რომ მაღაროებში მუშაობა მათ სამხედრო სამსახურიდან გაანთავისუფლებდა. ამ გარემოებამ პირველ ხანებში ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების წინსვლას, რადგან სოფლიდან ჩამოსული ჯანღონით სავსენი დიდის ენერგიით შეუდგნენ მუშაობას.

საზოგადოთ, მაღაროებში მუშაობის პირობები ძირიან ფესვიანათ განირჩევიან ფაბრიკა-ქარხნების შრომის პირობებისაგან. იმ დროს, როდესაც ქარხანა მუშისაგან მოითხოვს ცოდნა-სპეციალობას, მანქანებისათვის, წინააღმდეგ, უკეთესია, თუ მუშა პირდაპირ გუთნიდან მაღაროში მოხვდება, რადგან მაღაროს შრომის პირობები მუშისაგან მოითხოვს არა ცოდნას, არამედ — მხოლოდ ფიზიკურ ძალას და აი ასეთი ძალის პატრონი მხოლოდ სოფლის მეურნეობიდან გამოდის. მაგრამ მაღაროს შრომის პირობებს მეორე სპეციფიკური მხარეც აქვს. ეს იმაში გამოიხატება, რომ მაღაროს მუშა, მხოლოდ განსაზღვრულ დროს მუშაობს მაღაროში. მაგალითად, მუშათა 35% ზაფხულობით სოფლად მიდის და მაღაროებს მხოლოდ შემოდგომა-ზამთრობით უბრუნდება. ეს იმით აიხსნება, რომ მაღაროს მუშათა 90% ეს სოფლის გლეხ-კაცობაა და ზაფხულობით სოფლის მეურნეობას უბრუნდება, მაგრამ ამ გარემოებას მეორე დადებითი მხარე აქვს. საქმე იმაშია, რომ მაღაროს მუშა შემოდგომა-ზამთრობით ჯან ღონით შევსებული უბრუნდება მაღაროს. ზაფხულობით — სოფლის მეურნეობაში ის ისვენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ეს შეუძლებელია. ის სოფელს ომის გათავებამდე დაუბრუნებლად მოწყდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ომში წაიყვანენ. ასე, ეს დღევანდელი კადრი მაღაროს მუშებისა ორი სამი წლის წინანდელ განსწავლულ მუშაობს მაღაროებში და ამ გარემოებამ მუშათა კლასი გამოფიტა ენერგიისაგან: მისი ორგანიზმი დაუძლურა და ინვალიდათ აქცია. ამის უტყუარ მაგალითებს საავადმყოფო კასები იძლევიან.

წინათ ორი მესამედი ავადმყოფთა რიცხვისა ქარხნის მუშებზე მოდიოდა. მაღაროს მუშებიდან მხოლოდ 1/3 ავადმყოფობდა. დღეს კი წინააღმდეგს ვხედავთ.

ამას გარდა მხედველობაში უნდა მივიღოთ სასურსათო კრიზისიც. რევოლიუციამდე ბევრ ადგილას ნამდვილი შიმშილი მეფობდა. ზოგს სამრეწველო რაიონებში დღესაც ასეთივე სურათია. დღეს პური არ ყოფნით, ხვალ ხორცი, ხვალ ზეთი შაქარი, ქართოფილი და სხვ. ამ ჟამად მაღაროს მუშას თვეში 37 გირვანქა შავი პური ეძლევა. ეს მაღაროს მუშისათვის ნახევრად შიმშილს ნიშნავს.

აი პირველი მიზეზი შრომის ნაყოფიერების დაცემისა—ერთის მხრით მოქანცვა, ორგანიზმის შრომით დაუძლურება, მეორე მხრით—შიმშილი.

მეორე მიზეზი საწარმოთო იარაღების გაცვეთაში გამოიხატება. ამ ორი კვირის წინათ შრომის სამინისტროს მინდობილობით მომიხდა მაღაროების შემოვლა და ჩემს თვალწინ აუწერელი სურათი გადაიშალა. ერთს მაღაროში ხის ბოძები არ ყოფნისთ, მეორეში მანქანაა გაფუჭებული და მისი შეკეთება შეუძლებელი ხდება, მესამეში წყლის ამომღები მანქანა აღარ მუშაობს, მეოთხეში „კანატები“ და სხვ. ყველაზე უფრო ეგრედ წოდებული „ნასოსების“ უქონლობა აფერხებს შრომის ნაყოფიერებას. ეს მანქანები საზღვარ გარეთიდან შემოქონდათ. ომის დაწყების შემდეგ ახლების შემოტანა შეუძლებელი გახდა და ამ რიგად აქამდე ძველების საშუალებით მუშაობდენ. დღეს იგინიც კაპიტალურ „რემონტს“ მოითხოვს, მაგრამ გამოსაცვლელი ნაწილებიც ვერ უშოვნიათ რუსეთში და დიდი ვაი-ვაგლახით განაგრძობენ მუშაობას.

საწარმოთო იარაღების გაფუჭებაში თვით მრეწველებსაც მიუძღვით დანაშაული. საქმე იმაშია, რომ მრეწველობის პირობები სამთამადნო რაიონებში ერთგვარ წესს მოითხოვს. ეს წესი იმაში გამოიხატება, რომ მრეწველი ორი სამი წლის შემდეგ იძულებულია ესა თუ ის მაღარო რამოდენიმე თვით სრულიად შეაჩეროს და რადიკალური „რემონტი“ მოახდინოს. ასეთი „რემონტი“ აუარებელ თანხას მოითხოვს, მაგრამ, სამაგიეროდ, მომავალში მაღარო ერთი ორად მეტ მოგებას იძლევა. ასეთი წესი ქვა ნახშირის მაღაროებში აუცილებელია, რადგან უამისოთ განსაზღვრულ დროის შემდეგ ესა თუ ის მაღარო სრულებით უვარგისი ხდება საექსპლოატაციოთ.

მაგრამ მრეწველები ანგარიშის ხალხია. იმ დროს, როდესაც მაღარო 278 პროც. ნაღდ მოგებას იძლევა, ამ დროს მისი შეჩერება „რემონტისათვის“ მრეწველს ხელს არ აძლევს.

არ უნდა დავივიწყოთ ის მდგომარეობა, რომ ომმა სამთა-მადნო მრეწველობაში მრეწველებისათვის ედემი შექმნა. მოგების ნორმას არც ერთ მრეწველობაში არასოდეს არ მიუღწევია ასეთ წერტილამდე. მაგრამ მრეწველებმა კარგათ იციან ისიც, რომ ომი დროებითია და მისი გათავების შემდეგ, სამრეწველო კრიზისი აუცილებელია. ამიტომ, სანამ ომი არ გათავებულა, მრეწველები მხოლოდ იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება მეტი მოგება გამოწურწონ, როგორც მაღაროებს, ისე მუშათა კლასს.

აი რითი აიხსნება ის გარემოება, რომ მრეწველებს ამ სამი წლის განმავლობაში არც ერთ მაღაროში კაპიტალური „რემონტი“ არ მოუხდენიათ.

ჩემი მოგზაურობის დროს ბევრ მაღაროებში შემომჩიოდენ მუშები, რომ შიმშილით იხოცებიან, რადგან ხელფასი არ ყოფნისთ. მართლაც ბევრს მაღაროებში მუშების უმეტესი ნაწილი თვეში მხოლოდ 5—6 დღეს მუშაობს, დანარჩენ დროს უსაქმოთ არის. ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ მუშები მიტინგებზე დაიარებიან, როგორც ამას ბურჟუაზიული პრესა ამტკიცებს, არამედ ის, რომ ტეხნიკური პირობების გამო ესა თუ ის მაღარო თითო ორიოდა კვირაობით მუშაობას სწყვეტს: ხან „ნასოსი“ არ მუშაობს, ხან ხის ბოძები არა აქვთ, ხან მანქანა ფუჭდება და სხვა.

აი მეორე და უმთავრესი მიზეზი შრომის ნაყოფიერების დაცემისა. დანარჩენი მიზეზები მეორე ხარისხოვანი და სავსებით გამომდინარეობენ ორი პირველ მიზეზიდან.

მაღაროებში დღეს ანარქია დღითი დღე იზრდება. შრომის ნაყოფიერების დაცემის პროცესი გაჩქარებული ნაბიჯით მიექანება წინ და ყველაზე უფრო დამაფიქრებელი ის არის, რომ გამოსავალი არსად ჩანს. კიდევ რამოდენიმე თვე და ჩვენის გზები სრულებით დადგება ქვა ნახშირის უქონლობის გამო.

დღეს სატახტო გაზეთებმა გადმოგვცეს, რომ დროებითი მთავრობამ „დონეცკის ბასეინის“ ქვა-ნახშირის რაიონში განსაკუთრებული შრომის კომისარი დანიშნა განსაზღვრული უფლებებით. ბევრნი ამ დანიშვნას დიდ მნიშვნელობას აძლევს, მაგრამ მე პირადათ პესიმიზმი მიპყრობს, რადგან, სამწუხაროდ, კომისარი რა უფლებებითაც არ უნდა იყოს აღჭურვილი, ვერას გახდება.

მუშები მოითხოვენ საყოფ სამუშაოს, პურსა და ხელფასის გადიდებას. მრეწველობა კი მოითხოვს ახალ-ახალ მანქანებს, კაპიტალურ „რემონტს“ და სხვ. დროებითი მთავრობას არც ერთი ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეუძლია შექმნილ ობიექტიური პირობების მეოხებით.

აი ტრაგიზმი როგორც საზოგადოთ მრეწველობის, ისე დროებითი მთავრობის მოქმედებისა.

ბ. პუმბურიძე.

ჯარის-კაცთა წერილები

ხოფ. მცხეთა. ამ სოფელში დგას 604 ტრანსპორტის დრუჟინა. ამ დრუჟინაში თითქმის ორი მესამედი ჯარისკაცებისა სულ ქართველები არიან. საკმაოდ არიან აგრეთვე ქართველი ოფიცრებიც. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახლოს ქალაქ თფილისზე ეს დრუჟინა, საშუალებაც აქვთ თითქმის ყოველ დღე მიიღონ გაზეთები, წაიკითხონ და გაიგონ დღევანდელი რუსეთის დიდმნიშვნელოვან რევოლიუციის მსვლელობა, თვალი ადევნონ და თავიანთი მხრითაც ხელი შეუწყონ მას, რომ ნათელი წარმოდგენა იქონიონ რომელიმე საჭირო კითხვებზე,—ამას არ შვრებიან, გაზეთების წაკითხვას გაურბიან. მთელ დრუჟინაში ხუთ კაცს ვერ იპოვით, რომ გაზეთებს კითხულობდეს. თუ რომ ვინმემ მოიტანა კვირაში ერთხელ გაზეთი, იმას, იმის მაგიერად, რომ გაიგონონ და ყური დაუგდონ, პირიქით, დასცინიან კიდეც მას. ერთი სიტყვით, ზედმეტად მიაჩნიათ გაზეთის კითხვა. სამაგიეროთ ყაზარმებში დილიდან დაწყებული ჩაუსხდებიან კარტის თამაშს და, ისედაც ცარიელ ჯიბეებს, უცარიელებენ ერთმანეთს. მე ორი ჯგუფი ჯარისკაცებისა დავინახე ჯგუფ ჯგუფად სოფელში, უპირატეს ხელში პატარა ფანდური და ღამღერიან ზედ თავიანთ შეთხზულ უაზრო ლექსებს და აბეზრებენ თავს ადგილობრივ მცხოვრებთ. საჭიროა მოწინავე ელემენტებმა ამას ყურადღება მიაქციონ და ეს ძვირფასი დრო არ დაკარგონ ტყუილად-უბრალოდ. ამხანაგებო! გამოიწერეთ მუშათა ინტერესების დამცველი გაზეთები და იკითხეთ. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს ერთხელ კიდევ შემდეგი გარემოება: სოფელ მცხეთის წიგნთ-საცავ სამკითხველოში თითქმის ერთი თვეა გაზეთები არ მოდის. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს გამგეობამ.

ჯარისკაცი ს. ამირელიშვილი.

ამ ბოლო დროს დიდ უსურსათობას განვიცდით აქ, პოზიციაზე. ცხოვრება, დღითი-დღე საძნელო ხდება. ამას წინათ აქ შემდეგი ამბავი მოხდა: 250 მინდვრის სამხედრო ფურნეში ღამით, როდესაც სალდათებმა—მუშებმა შეაწყვეს საცხობში პური, მივიდნენ შიმშილით დატანჯული სალდათები № პოლკისა და მოსთხოვეს მუშებს პური, მაგრამ იმათ არ აუსრულეს თხოვნა; ცოტა ხნის ლაპარაკის შემდეგ მოსულებმა ძალა იხმარეს, გაალეს ფურნის კარები და გამოიტანეს პური. ფურნის მუშებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ; და აბა რა უნდა ეთქვათ, ვისაც გამოუვალი შიმშილობა, მით უფრო, აქ. ამ დღის შემდეგ ჩაუვარდა ინტერესი ჩვენს ფელდფებელს შ—ს, რომელიც ძველი წყობილების მომხრეა და სამწუხაროდ მას უკავია ზედამხედველის ადგილი. ეს ისეთი პიროვნებაა, რომელიც ცდილობს ყოველ ფეხის გადადგმაზე რამე ნაირათ შეავიწროვოს ჯარისკაცები. პოზიციიდან მოვიდა ერთი ჯარისკაცი პურის მისაღებათ თავის ამხანაგ სალდათებისათვის, მაგრამ ზედამხედველმა ზემოხსენებული მიზეზის გამო უარი უთხრა და შემდეგი სიტყვებიც დააყოლა: „რა სარგებლობა მოგვიტანეთ თქვენ, რომ ჩვენ პურს გაძლევთო“.

ჯარისკაცი ქ. გო—ძე.

კავკასიის ჯარების საბჭოს განკარგულებით კავკასიის მოქმედ ჯარის ყველა ნაწილებისაგან იქნა წარმომადგენლები არჩეული, რომლების მიზანს შეადგენს მოახდინონ პურის რეკვიზიცია კავკასიის იმ მხარეებში, სადაც ვერ შეძლეს სასურსათო კომიტეტებმა პურის მიღება. პირველად ჩვენ, რაცხვით 93 კაცი, თფილისიდან გაგვგზავნეს საზღვართ კავკასიაში და შევუდექით მოქმედებას ქ. გიორგიევსკში (თერგის ოლქი). ბევრი სიძნელე გადაგვხდა წინ ჩვენს მუშაობას. გლეხების მოთხოვნილება—მოგვეცათ ჩვენთვის საჭირო საგნები ითვით და მაშინ ჩვენც დიდი სიამოვნებით მოგცემთ პურსო, უძლეველ სიძნელეთ გადაიქცა ჩვენთვის. მათი სიტყვებია: ამხანაგებო, ერთი წყვილი ჩექმა 200 მანეთია, ერთი არშინი უბრალო ჩითი 10 მანეთია და თქვენ კი, ფუთი პური 9 მანეთად გინდათ, რა ვქნათ, რა ჩავიცვათ, რა ჩავაცვათ ცოლშვილს, ჩვენი კომიტეტი აქაურ ვაჭრებს არავითარ ყურადღებას არ აქცევსო. ეს ყველაფერი სიმართლეა. გვქონდა სხდომა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით; ბევრი ბჭობის შემდეგ ერთხმად დადგენილ იქნა: გლეხებს გავუწიოთ დახმარება რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება ჩვენის მხრით. მეორე—თანახმად გლეხების განცხადებისა, რომ ქ. გიორგიევსკის ყველა დარგის კომიტეტები სპეკულიაციას ეწევა—არჩეულ იქნა სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომლის მიზანს შეადგენს გაიგოს სინამდვილე, თუ ვინ არის დამნაშავე—გლეხები, თუ კომიტეტები, რომ შეძლება გვქონდეს ვუჩვენოთ გლეხებს, რომლებსაც თითქმის ყველას დაუკარგავს ნდობა კომიტეტებისადმი.

ჯარისკაცი ვარლამ პატარაია.

პროვინციის ცხოვრება

დ. ქუდაში. ქუდაშში სხვა კულტურულ დაწესებულებათა შორის არსებობს უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოც. სამკითხველოში მოდის ჟურნალ-გაზეთები: „ერთობა“, „ალიონი“, „სახალხო საქმე“ და სხვ. ამ გაზეთებს კვირაში ეხოლოდ ორჯელ ვღებულობთ. რაც შეეხება საკითხავ წიგნებს, ასეთები სულ ცოტა მოგვეპოვება და ისიც ძველი შინაარსისა. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ სამკითხველო ვერ ასრულებს თავის მოვალეობას იმის გამოც, რომ შიგ ხშირათ შედიან უსაქმო პირები და თავის ლაპარაკით და ხმაურობით ხელს უშლიან მკითხველებს. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება გამგეობამ და დაიცვას სამკითხველოში სრული წესრიგი. კარგი იქნებოდა აგრეთვე თუ მოაწყობდენ როგორმე ქუთაისში გაზეთების ყოველ დღე მიღებას. კარგათ მოწყობილ სამკითხველოს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სოფლელებისათვის, რომლებიც რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ჩაებენ აქტიურათ საზოგადოებრივ მოძრაობის ფერხულში.

აქ ყოველ კვირაობით იმართება მიტინგები ამხ. ვანო სტურუას ხელმძღვანელობით. არკვევენ სხვადასხვა საპირბოროტო კითხვებს. დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანია უკვე გაჩაღდა. ხალხი მეტათ ფხიზლად ეკიდება არჩევნების საქმეს, სოფლებში აგიტაციას ეწევიან სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, მაგრამ მიტინგებზე გლეხები გაიძახიან, ჩვენ ხმას მივსცემთ იმ სიას, რომელსაც ამშვენებენ ჩვენი მოწინავე ბელადები: ნოე ჟორდანია, კაკო წერეთელი და კარლო ჩხეიძე. ესენი მედგრათ იცავენ პროლეტარიატის და გლეხების ინტერესებსო. და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან სოციალდემოკრატია არის ერთად ერთი პარტია, რომელიც სისწორით გამოხატავს მშრომელთა კლასის სულის კვეთებას და თავგანწირვით იბრძვის, რომ გაანთავისუფლოს იგი ეკონომიური და პოლიტიკური მონობისაგან.

იაკინთე ხაჯოვული.

ხოფ. მეჩხი. (გორის მაზრა). 29 ოქტომბერს აქ შესდგა მრავალ რიცხოვანი კრება ახალი კომიტეტის წევრების ასარჩევათ. დაესწრენ 7 სოფლის მცხოვრებნი 1,000 სულზე მეტი ორივე სქესისა. დილიდანვე იწყო სხვა სოფლებიდან ხალხმა დენა. როგორც კი ხალხმა იწყო თავის მოყრა, გამოჩნდენ ფედერალისტთა წარმომადგენლები და ვიდრე კრება გაიხსნებოდა, დაიწყეს ხალხში მძაფრი აგიტაციის გაწევა. ისინი ხან ერთ ჯგუფში მივიდოდენ და აწარმოებდენ აგიტაციას, ხან მეორეში, მაგრამ ხალხი მათ არ უსმენდა.

საცინელი სანახავი იყო ლ. ბა—შვილი, ის გაჭირვებული დარბოდა და ხალხს მოუწოდებდა, რომ მათ ძალით ჩამოერთმიათ მემამულეებისათვის მიწა და სახნავ-სათესი მამული. ამაზე ერთმა გლეხთაგანმა უპასუხა: ამხანაგო, რათ იწუხებთ თქვენ აგრე თავს, რათა გაიდელიანებულხართ ეგრე, რომ პირზე ხვითქი გადგადით. დღეს, როცა ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება, ჩვენ თავს ჩვენვე მოვუვლით. მიწა და ტყე ეს ბუნებრივი სიმდიდრეა და ის მას ეკუთვნის, ვინც მასზედ მუშაობს და თუ ეს ასეა, მაშ მას ჩვენ ვერავინ წაგვართმევს, მხოლოდ ჯერ მაგისთვინ არაა გვცალიან. ჩვენ ჯერ უნდა დავამკვიდროთ ეს ძვირფასი თავისუფლება, მშვიდათ და სასურველად ჩავატაროთ დამფუძნებელი კრების არჩევნები და ამის შემდეგ ყველას მოვუვლით. დღეს კი ამ ნგრევა-შენების დროს, როდესაც ჩვენი მოწინავე ამხანაგები და ახალი მთავრობა მოგვიწოდებს მშვიდობიანობისაკენ, არავითარ აჯანყებას და გამოსვლებს ადგილი არ უნდა ჰქონდესო. მეორე გლეხმა დაუმატა: ამხანაგო დაუღეჭავი ლუკმა ყელზე დაგვადგება და დაგვახრჩობს. ჩვენ ყოველივე საკითხი ასჯერ უნდა გავზომოთ და ისე ჩავუკვეთოთ, რომ არც ყელზე დაგვადგეს და არც მუცელი გვატკინოს. თქვენ თავი დაგვანებეთ და ჩვენ მოვუვლით ჩვენს საქმესო.

ისინი მაინც არ სცხრებოდენ და მოუწოდებდენ ხალხს, რომ მათ მხარი დაეჭირათ ფედერალისტთა პარტიისათვის, მაგრამ ხალხი ყურადღებას ნაკლებათ აქცევდა.

დილის 12 საათზე კრება გახსნა ამხ. კაციაშვილმა. მან თავის შესავალ სიტყვაში ახსნა დამფუძნებელი მომენტი და არჩევნების მნიშვნელობა და ურჩია აერჩიათ ისეთი პირები, რომლებიც დაიცავდენ და პირნათლად ეძიებდნენ საზოგადო ინტერესებს. სიტყვის დასასრულ შეეკითხა ხალხს: რადგანაც აქ ბევრს სურს სიტყვის წარმოთქმა—როგორ გსურთ, ჯერ არჩევნები მოვახდინოთ, თუ ჯერ ორატორებმა ილაპარაკონო. ხალხმა ერთხმად გადასწყვიტა ჯერ არჩევნები და შემდეგ ორატორებს ვილაპარაკოთ. ამის გაგონებაზე ფედერალისტებმა ასტეხეს აურ-ზაური: არა, ჯერ უნდა ვილაპარაკოთ და მერე მოხდეს არჩევნებიო, რასაც ხალხი არ თანხმდებოდა. ისინი კი, როგორც ჩვეული არიან, ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ არჩევნებისათვის ხელი შეეშალათ, მაგრამ როგორც კი გამოჩნდებოდა ტრიბუნაზე ფედერალისტი, ისე ხალხი გაჰგვინავდა: ძირს, არ გვინდიხართ, მოგვშორდითო.

დიდი შრომის შემდეგ თავმჯდომარემ დააშოშმინა ხალხი და შეუდგენ არჩევნებს. აარჩიეს კომიტეტის 7 წევრი და სამი მათი კანდიდატი. არჩევნების შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა დამსწრეთ, რომ ვისაც სურს ლაპარაკი ჩაეწერილიყვნენ და თავთავის რიგზე წარმოეთქვათ სიტყვები. პირველად ილაპარაკა ს.-დ. ხალხი გულმოდგინეთ უსმენდა. შემდეგ გამოვიდა ფედერალისტი და ისინი როგორც ჩვეულნი არიან პირველ სიტყვებიდან დაუწყო ს.-დემ. ლანძღვა, მაგრამ ხალხმა მაშინვე მიაძახა: ძირს, არ გვინდა, მოაშორეთ მანდედან. ის შორდება ტრიბუნას. გამოდის მეორე ფედერალისტი, ხალხმა არც მას მოუსმინა. ასტყდა დიდი აურ ზაური. ფედერალისტები არ ცხრებიან და სცდილობენ ხელი შეუშალონ ს.-დ. ორატორებს, მაგრამ ხალხი მათ ძალით აჩუმებს და უსმენენ ს.-დ. ორატორებს, ილაპარაკა რამდენიმე ორატორმა და საღამოს ხალხი ნასიამოვნები დაიშალა. აგრეთვე მოახდინეს ქალების არჩევნები და უნდა აღვნიშნოთ ჩვენი ქალების სასიქადულოთ, რომ ისინი უფრო მეტ მისწრაფებას იჩენენ შენების-განვითარების ნიადაგზე ვიდრე მამაკაცები. გულგრილობა წაა მეტ მხნეობას ამ დიდ საქმეში.

ზერათ-ხეველი.

ს. ზემო აქეთი. (გურია). თითქმის ორი წელი სრულდება რაც აქ დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება „მშრომელთა შეღავათი“. მართალია, კოოპერატივს ხშირათ ეღობებოდა დაბრკოლებები წინ, მაგრამ საზოგადოების ენერგიული მოქმედებით საქმე კარგ ნიადაგზე დადგა და საზოგადოება სარგებლობდა სახარბიელო განუყოფელობითაც, დღეს კი საქმე ვერ არის საიმედო გზაზე დამდგარი, რის უმთავრესი მიზეზი საზოგადოების გულგრილობაა.

სექტემბრის დამლევ რიცხვებში კოოპერატივის სარევიზიო კომისია იწვევდა წევრთა არა ჩვეულებრივ კრებას. საზოგადოება სულაც არ შეკითხებია თავის თავს, რათა იწვევენ არა ჩვეულებრივ კრებას და თითქმის არავინ გამოცხადებულა კრებაზე. საჭიროა საზოგადოებისაგან მეტი სიფხიზლე, რომ ასეთ სიმპატიურ საქმეს ფეხი არ გამოეცალოს. საზოგადოება, პირიქით, უნდა თხოულობდეს ანგარიშების განხილვას, აგერ 9 თვე სრულდება და ნახევარი წლის ანგარიშები არ განუხილავს, აგრეთვე საჭიროა გამგეობის შევსება იმ ენერგიული წევრის წასვლის გამო, რომელიც კარგა ხანია გამგეობიდან გავიდა და მთელი შრომა დანარჩენებს დააწვა, რასაც მე მგონია ვერ აუვლიან და საზოგადოება იზარალებს, რის ნიშნები უკვე მოსჩანს როგორიც არის მაგალითები ცალობით პურის ფქვილის ფუთობით ტვირთვის და შუშუკობის დაკარგვა—საჭიროა დაუყონებლივ წევრთა კრების მოწვევა და ანგარიშების განხილვა.

თა.

დაბა აბაშა (სამეგრელო). 22 ოქტომბერს მოხდა კრება შემდეგი საკითხის გასარჩევათ: სასკოლო კომიტეტის არჩევისა. საზოგ. სასურსათო კომიტეტის არჩ. იარაღების გამოთხოვა და საიმედო პირებთა შეიარაღება. იასაულ-დარაჯის დაქირავება. კრებამ აირჩია სასკოლო კომიტეტად ათი წევრი: პარმენი ქ. ქაჯარავა, ზედლატი ი. ცომაია, სიმონ ნ. ცომაია, არისტარხი შ. ჰანტურია, იოსებ ჩარგაზია, ფილიპე ცომაია, ფილიმონ თ. შონია, იულონ ვ. ქარჩილავა, ალექსი რ. ჩოჩია, ყველანი თემურაზის ძე ჩოჩია. სასურსათო კომიტეტში 7 წევრი: იულონ ქარჩილავა, დიმიტრი ჩოჩია, პავლე დ. ჰანტურია, მელიტონ გ. ქაჯარავა, ვლადიმერ ცომაია, არისტარხი ჰანტურია, ფილიპე ცომაია, იაკობ ჰანტურია. იარაღების მოთხოვნის და საიმედო პირების შეიარაღების გამო კრებამ დაადგინა გამოთხოვილი იქნეს იარაღები სადაც ჯერ არის და შეიარაღდეს ის პირები. საკითხი იასაულ-დარაჯის შესახებ კრებამ მიანდო ადგილობრივ კომიტეტს შესასრულებლათ, ამის შემდეგ კრება დაიხურა.

ძაკუ შავა.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. 1 ნოემბერს სახ. სახლთან არსებულ ქართ. სახ. წრის მშრომელი წრის მიერ წარმოდგენილი იქნა კანო დამაზას დრამა „უბედური“. ამ მოკლედ აღწერილი, მაგრამ შედარებით ძლიერი დრამის დედა აზრი გვიჩვენებს საზოგადოების ერთ ნაწილს, რომელიც გამდიდრებისათვის არაფერს არ ზოგავს, ფულის სრული წონაა. მადრიდის ვინმე მდიდარ პროვეზნტის ქალს, ანჯელიკას, ჰყავს საქმრო, გაიძვერა, მატყუარა ანჩო. ეს ანჩო ვინმე ღარიბი პიეტრა ქალს, რომელსაც თავის ბიძაშვილის, მარცელის, სახელით გაეცნო, ნამუსს ხდის და კიდევაც ბავშვი ჰყავს, რომელიც მონათლულია მარცელის გვარზე—და უკვე 7—8 წლის შეიქნილა. ყოველივე სიმპატიანზე ხელაღებული ანჩო ისევე მოატყუებულ ქალს და „უცნობი შვილს“ შვიდი წლის განმავლობაში იმალება, და გაუბედურებული ქალი პეტრა თავისი უცნობი პეტრა მარგარიტასით მათხოვრობს, ამავე დროს ფლიდი და ავაზაკი ანჩო ატყუებს რა ხალხს, მიიჩნებს თავისვე მდიდარ პროვეზნტის ოჯახს, რომელშიაც უპირატესი გავლენობის სული სტრიალებს, და აქაც იწყებს ანჩო თავის ხელობას, გამდიდრების გულისთვის ბევრ სისაძაგლეს სჩადის და პროვეზნტის ქალსაც, ანჯელიკას ნიშნავს.

შემთხვევით, ანჩოსაგან გაუპატიურებული ნათხოვარი ქალი პიეტრა, ანჩოს ბიძას სიკვდილზე მიმდგარს [illegible], ეს აი აქ [illegible] მის პატარა მარგარიტის [illegible]. ანჩოს ბიძა, რომელიც გრძნობიერად მოდლის გულისთვის პატარა, უკანონო მარგარიტას უანდერძებს თავის სიმდიდრეს—სამ მილიონს. რაკი გაიგებს ამ ამბავს გაიძვერა ანჩო, მიუხედავად იმისა, რომ მარგარიტას არ სცნობდა თავის შვილათ, ახლა მას აღიარებს თავისათ, რომ ასეთი მოქმედობით ეს ანდერძი—სამი მილიონი იხელთოს, მაგრამ ღახეთ უბედურებას, მარგარიტა [illegible] მის გვარზე დაწერილი, რომელიც—მის ბიძაშვილის, მარცელის გვარზე.—ეს უკანასკნელი, სიმდიდრის სრულიად არ მოყვარული მარცელი, რომლის გვარზეც მისი ბიძაშვილის ანჩოს მიერ დაწერილია მოტყუების მიზნით პეტრა მარგარიტა, მედგრათ ექომაგება ყველგან სიმართლეს, ებრძვის სიმტყუნეს, და აქაც კი თავის მედგარი სიმართლისთვის ბრძოლით შესძლებს ეს ნაანდერძევი სამი მილიონი ფული კანონიერ მემკვიდრეს მარგარიტას გადასცეს და გაიძვერა ანჩო კი მშრალზე დასტოვოს. და ამნაირად ის და პროვეზნტის ოჯახი გაუბედურებულ იქნენ. მოთამაშეებმა შესძლეს კარგად დაესურათებინათ ეს დრამა, ბ.ბ. მინდიაშვილმა (პროვეზნტი), ნ. თოიძემ (ანჯელიკა), რომანიშვილი-დეკანოზისამ (ლუკრეცია), ჰანკვაძემ (ანჩო), თ. გოგოლაშვილმა (პეტრა, მათხოვარი), ა. თავდგირიძემ (მარცელი) და ნ. გოცირიძემ (მაჯული). დამაზათ შეასრულა უკანონო შვილი მარგარიტას როლი პატარა 7—8 წლის ჯიაძის ქალმა. სჩანს, ბავშვს სასცენო ნიჭი დაჰყვება. ამავე პირებმა კარგად შეასრულეს კომედია „პეჭუისა მზეს“.

შ. ხაჭარელი.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარისკაცი ხევერიან არტემის ძე ტაბუკაშვილი, შორაპნის მაზრიდან, სოფ. ფერსტნალიდან. მსახურობდა მე-113 ქვეითი სათადარიგო პოლკში მე 12 როტაში მე-2 ვზვოდში. დიდი ხანია არაფერი მისგან არ გაგვეგონა და თუ ვინმემ იცით, გთხოვთ გადმოგვცეთ ამ მისამართით: Кавказская Дѣйствующая Армія 25 кав. стр полкъ Нестраевая рота 2-взводъ Акимъ Филиповичу Схиладзе.

— დავით (ბეგურა) ბესარიონის ძე ვაჩნაშვილი მსახურობდა მოქმედ არმიის მეორე კავკასიის კორპუსის 1-ლ კავკასიის მსროლელთა არტილერიის დივიზიონში, მეორე სამთო ბატარეაში. რამდენიმე თვეა მის შესახებ არაფერი ისმის. ვთხოვ მის ამხანაგებს და ნაცნობ-მეგობრებს, თუ რამე იციან მის შესახებ მოგვაწოდონ ცნობა ამ მისამართით: ქუთ. გუბერ. სოფ. ნიგოითი, სოფ. ხამგვა სერგო წერეძეს.

— ჯარისკაცი სერგო გრიგოლის ძე სვანიშვილი მსახურობდა Дѣйствующая армія 8-й армейскій корпусъ 59-й пѣх. люблинскаго полка 1-ая рота 1915 წელს, 17 თებერვალს იყვა ლაზარეთში Кіевской губ. звенно-городскаго уѣзда м. Шнола Еврейскій лазаретъ, ამიტომ იყო დაჭრილი და მას შემდეგ არაფერი ცნობა არ გვაქვს, გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: Батумъ 3-я набережная улица № 8, Григорію Сванишвили.

პირველ საპოლიციო უბნის
დემოკრატიული საარჩევნო კომიტეტი
მოთავსებულია მე-6 ვაჟთა გიმნაზიაში (საუფლისწულო ქუჩა № 3) ბიურო ღია ყოველ დღე საღამოს 6—8 საათამდე.

განცხადება
ამიერ კავკასიის ყველა რაიონულ და საზოგადოებათა კომისარიატებს საყურადღებოთ, რომ 28 ოქტომბერს ბოროტ გამზრახველებმა
მომპარეს
5 წლის ცხენი.
ნიშნები: მოთეთრო ლურჯი, იობა, შუბლზე მკრთალი და თეთრი ზოლი აქვს, ცხვირზე ნესტოებს შუა თეთრი ნიშანი აქვს. ვსთხოვ ყველა ზემოხსენებულ ორგანიზაციების წევრებს, მიიღონ მის აღმოსაჩენათ ზომები და ვინც აღმოაჩენს ჯილდოთ მიიღებს 100 მან. ჩემი მისამართი: ხიდისყური ქარელი სოფ. რუისის (გორის მაზრა) კომისარი არჩილ არავიაშვილი. 2—2

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპურება, მასაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ტელეფონი № 5—77.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებებზე ავადმყოფებს იღებს ყოველდღე საღამოს 5—8 ს., კვირა დღის გარდა. ქუჩიშვილის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

მედიცინის დოქტორი
ბ. ვ. მეჰრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სალინიკი? [illegible] გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—11 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.